საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 18 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერივანის მ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 289 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 289

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი ძმები: ელიტონ, გაბრიელ, ბედია და არსენ; დები: ლიზა, ფაცია და თამარა, რძლები: ნინო და ქეთო: ძმისშვილები: ვანიჩკა, ფილიპე, ლუბა და ჟულიეტა ყაჭიეშვილები; სიძეები: მაკარი ჯიბუტი, ნიკიფორ ქანუყვაძე და სოლომონ კაკურია—აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ორშაბათს, 13 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სურამის ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი

იოსებ ფილიპეს ძე ყაჭიეშვილი

სურამის საავათმყოფოდან გამოსვენება მოხდება ორშაბათს, 15 დეკემბერს—საღამოს 4 საათზე; დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 დეკემბერს ს. ამაღლებაში (გურია) ახალ სასაფლაოზე დილის 10 საათ. (3985—4—4)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ეკა, დები: ფიდინე, ფიდოსი, მაკრინე, ბარბალე, რძალი ელენე და ძმა გიორგი, სიძე ფარნაოზ პეიშვილი, დისშვილები; თეკლე, ლუკა, კოლია, თათრახან და კალიოფე წერონძეები, ივლიტა, მინადორა, მაგდანე, მარია ფოკა და მოსე პეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მათი ძვირფასი

მეტია გიჟიას ასული მარუშანიშვილის

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია შაბათს 18 დეკემბერს ს. სამების ეკლესიის გალავანში. 4028 2—2)

დღეს 18 დეკემბერს ორმოცი დღის გარდაცვალების თავზე დაუვიწყარ

საშა ბახტაძის

საფლავზე, დიდუბის ეკლესიაში საღამოს 4 საათზე იქნება გადახდილი პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს მშობლები განსვენებულისა. (4029—1—1)

ნაძალადევის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგებს და ორგანიზაციებს, რომ ორი წლის თავის აღსანიშნავად 19 დეკემბერს, კვირას 12 საათზე ძმათა სასაფლაოზე შეიკრიფებიან ამხანაგები

ეკატერინეფელდთან გმირულად დაღუპულ თავისუფლებისთვის მებრძოლ სახალხო გვარდიელების ხსოვნისათვის

(ბ. 2—1)

საქ. დემ. რესპუბლიკის სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აუწყებს ამხანაგებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებას, რომ 1920 წელს 19 დეკემ. სრულდება ორი წელი

ეკატერინეფელდის ისტორიულ ომის, სადაც გმირულად დაიღუპენ თფილისის სახალხო გვარდიელები

მეორე წლის მოგონების აღსანიშნავათ ძმათა სასაფლაოზე, კვირას, 19 დეკემბერს, 12 საათზე, შეიკრიბებიან ამხანაგები. (ბ. 2—1)

ქვრივი ელენე მაისურაძისა, შვილებით და სიდედრი დესპინე ცერცვაძისა და სონა ნაბიჭვრიშვილისა აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს რომ კვირას, 19 დეკემბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია სახალხო გვარდიის თავმჯდომარის ამხანაგის

სანდრო მაისურაძის

ბრძოლის ველზე დაღუპვის ორი წლის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე (ნახალოვკა ხუდადოვის ტყე). (ბ. 2—1)

შაქრო და ანნა ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს რომ კვირას 19 დეკემბერს შუადღისას 12 საათზე დანიშნულია მათთვის დაუვიწყარი პირველის ცოლის ძმა, მეორესი ძმა

სანდრო მაისურაძის

ბრძოლის ველზე დაღუპულის სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე (ნახალოვკა ხუდადოვის ტყე). (ბ. 2—1)

ძმა ლევანი, რძალი მარუსია მაისურაძეები და და სონა ნაბიჭვრიშვილი აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას 19 დეკემბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის

სანდრო მაისურაძის

ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპვის 2 წლის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე. (ნახალოვკა ხუდადოვის ტყე). (4037—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი და უიმედოთ დატოვებულნი, მარიამ აბრამის ასული, შვილები: ალექსანდრე, ნიკოლოზ, კოსტია ივანეს ძენი და ნინო ივანეს ასული ხირსელები, ამით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს შაბათს 18 ამა დეკემბერს დილის 12 საათზე კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი პირველის ქმრის ხოლო უკანასკნელთა ძვირფას, საყვარელ და დაუვიწყარ მამის

ივანე ალათონის ძის ხირსელის

სულის მოსახსენებლად. (4039—1—1)

გულ დამწუხრებული ქმარი გლახუნი და შვილი მარო პასიკო ნატო ფიდოსი და ნასტი ტყეშელიაძეები სიძეები ტიტიკო მახარაძე და კოწია სიხარულიძე და შვილის შვილი ისაკი სტეფანია გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 16 დეკემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველის ცოლი, დახარჩენი ხუთის დედა, შემდეგი ორის სიდედრი და უკანასკნელის ბებია

ქრისტინე ჭანიშვილის ასული ტყეშელიაძისა

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა 19 დეკემბერი და დასაფლავებული იქნება სოფ. გორა ბერეჟოულში წმინდა გიორგის ეკლესიაში.

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 13 დეკემბერს გარდაიცვალა სურამის საავათმყოფოში ჩვენი ძველი ამხანაგი ძვირფასი

იოსებ ფილიპეს ძე ყაჭიეშვილი

გამოსვენება მოხდება სურამიდან 15 დეკემბერს. ცხედარს წაასვენებენ გურიაში 16 დეკემბერს. (ბ. 3—3)

ს ა ჭ ი რ ო ა
გამოცდილი
ბუღალტრები და მოანგარიშენი
სახელმწიფო მამულთათვის. მისამართი: მიწად-მოქმედების სამინისტროს მთავარი ბუღალტერია 9—3 საათ. (ბ. 3—2)

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი
„ცისარტყელა"
გამოვა 1921 წლის განმავლობაშიც (წელიწადი მე-3-მე).
ჟურნალში არის შემდეგი განყოფილებანი: პოეზია, ბელეტრისტიკა, დრამა, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია.
ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ს. აბაშელი, ვარლამ რუხაძე, ობოლი მუშა, გ. ქუჩიშვილი, დუდუ მეგრელი, გელა, იასამანი, ხარიტონ ვარდოშვილი, მეჩონგურე, და სხვ. ბელეტრისტები: შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, ლეო ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, მალაქიაშვილი, არჩილ რუხაძე, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, დ. თურდოსპირელი, კ. გამსახურდია, ი. მჭედლიშვილი, დემნა შენგელაია, ილია რუხაძე, რემონიძე და სხვა. დრამატურგები: ტრიფონ რამიშვილი, გერგესელი, შიუკაშვილი, ირეთელი. კრიტიკოსები: ვ. გომართელი, სეით დევდარიანი, ლეო ნათაძე, აკ. პაპავა, ვარ. ხუროძე და სხვ. (ბ. 3—3)

კვირას, დეკემბრის 19-ს შუადღის 12 საათზე სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში
კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას
თანამედროვე გერმანიის პოლიტიკისა და კულტურის პრობლემები.
ბილეთები თეატრის კასაში. დარბაზი გამთბარი იქნება. (4027—2—2)

მეორე ქართული კლუბი
დღეს შაბათს
კინემატოგრაფი
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღ. (ბ. 1—1)

იბეჭდება და გამოვა გასაყიდათ
„ეშმაკის მათრახის" კარიკატურების ალბომი
ცხვირი მეზობლები
ალბომში მოთავსებულია მრავალი კარიკატურა და დასურათებული მოთხრობები: 1) სომხეთისკენ. 2) „მონამახის ქუდი", 3) ომში წასვლა, 4) საფრთხე, 5) ვირის ყბა, 6) სიფრთხილეს თავი არა სტკივა, 7) კარგი ჰქენი... 8) კვერცხების გაიაფება, 9) ვერ იცნო, 10) „სოციალიზმი", 11) სამი დევ გმირი, 12) რევოლიუციის გაღრმავება, 13) ორი წელიწადი, 14) ოცნება და სინამდვილე, 15) კომუნისტები თფილისში, 16) ორი სალახი. 17) ტროცკი საუკეთესო როლებში, 18) ჩრეზვიჩაიკაში, 19) დაბრუნებული, 20) კომუნისტური შაქარი, 21) მემკვიდრე და მრავალი სხვა .. ალბომი იბეჭდება კარგ ქაღალდზე, შეიცავს 120 გვერდზე მეტს.

სახელმწიფო ოპერა
შაბათს, 18 დეკემბერს მუშებისათვის
სიმფონიური კონცერტი
ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით. კვირას, 19 დეკემბერს ფრა-დიავოლო, ორშაბათს, 20 დეკემბერს ძითო და კოტე. დასაწყისი 8 საათზე. (ბ. 1—1)

სავაჭრო კანტორა
„კახური"
თამამშევის ქარვასლა—შტაბის პირდაპირ.
ი ყ ი დ ე ბ ა:
პორტლანდ-მჟიდა (Цементъ Портландскій)
ინგლისური შაგრამანი
მანუფაქტურა
ქალის საცვლები.
(4038—1—1)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
კვირას ა. წ. 19 დეკემბერს დილის 11 საათისთვის, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
თფილისის სამხედრო ნივთ საწყობის 5—ცხენზედ, თივის მოედანზე (რიყეში).
4041—1—1) ადმინისტრაცია.

ჩვენ და რუსეთი

გუშინ გამოქვეყნდა საგარეო სამინისტროს ნოტა რუსეთისადმი, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ საბჭოთა რუსეთის აგენტები პირდაპირ აუტანელ და მიუღებელ ატმოსფერას ქმნიან ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე და ხშირათ მის შიგნითაც. ძნელი არაა იმის თქმა, თუ რა მიზანი და აზრი აქვს ასეთ მოქმედებას, როგორიცაა მოსაზღვრე სოფლებში შემოჭრა, მცხოვრებლების დარბევა, განიარაღება და ნეიტრალურ ზონაში ჯარების დაგროვება და სხვ.

მაგრამ ვფიქრობთ ერთს: ნუ თუ მოსკოვს, რომელიც მთელ ქვეყნის წინაშე საჯაროთ ირწმუნება, რომ მცირე ერებს თავს არ ესხმის, რომ იგი კერძოთ საქართველოს დამოუკიდებლობას სცნობს დე-იურეთ და მაშასადამე მის სუვერენობის დარღვევაზე არც კი უფიქრია, ნუ თუ ამ მოსკოვს არ აქვს იმდენი გავლენა თავის ადგილობრივ აგენტებზე, რომ მათ ასეთ სახიფათო ნაბიჯების გადადგმაზე ხელი აიღებინოს?

ჩვენ სხვა გვარათ ვერ გაგვიგვია ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენს გარშემო შექმნილი. ყველა პირობა, დადებული 7 მაისიდან დღემდე დარღვეულია, ყოველი ხელშეკრულება ფაქტიურად გაბათილებულია. არც ერთი მუხლი, რომლითაც ჩვენ სასარგებლოთ იყო რაიმე დადგენილი, არ მოსულა სისრულეში. კიდევ მეტი, თვით საქართველოს რკინის გზის ქონება, ომის დროს დატაცებულია, რომლის დაბრუნება თავს იდვა კომუნისტურმა აზერბეიჯანმა, დღემდე დაბრუნებული არ არის.

და თუმცა ასეთ დარღვევისა და უპატიულოთ მოპყრობის შემდეგაც, ჩვენმა ხალხმა შეინარჩუნა სურვილი და იმედი მეზობლებთან მშვიდობიანობისა, მაგრამ მაინც ვერ აიცდინა თავიდან პირაქეთი ბრალდება არალოიალობასა და არამეზობლურ ურთიერთობაში. ჩვენი მშვიდობისმოყვარეობა იქნა გამოყენებული საბჭოთა რუსეთის ადგილობრივი აგენტებისაგან როგორც საბუთი მათი არალოიალური მოქმედების გაძლიერებისა.

მოსკოვის მთავრობას აწოდებენ ისეთ ცნობებს, რომელიც სინამდვილისაგან ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწისაგან. მოსკოვს აწერინებენ ხელს ისეთ დეპეშაზე (ნავთის შეწყვეტის შესახებ), რომელმაც უხერხულ მდგომარეობაში უნდა ჩააგდოს ხელის მომწერნი, რადგან იგი რეალურ ფაქტებისაგან არ გამომდინარეობს.

მაგრამ, ცხადია ადგილობრივ, ჩვენს გარშემო მოგროვილ კომუნისტურ ძალებს სულ სხვა მოსაზრებები ამოქმედებს. მათ მოსვენებას არ აძლევს აქ დამკვიდრებული დემოკრატიული და არა საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა. ეს რესპუბლიკა არის ნიშანში ამოღებული ამ პარტიული შურით და ქიშპით გატაცებულ წრეებისაგან, რომელთაც დაკარგეს გონიერების ყოველი საზომი და თავაშვებულობის მორევში გადაეშვენ.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ მოსკოვის მთავრობამ იმ ახსნა განმარტების შემდეგ, რომელიც მან მიიღო, და რომელიც, როგორც, ორჯერ ორი ოთხია, ისეთი სისწორით ამტკიცებს მათი ნოტის საფუძველთა სრულ დაშორებას რეალობისაგან, კიდევ მოისურვოს საქართველოს მოქმედების კვალიფიკაცია, როგორც არა მეზობლურის, და დაუსაბუთებელი რეპრესიები განაგრძოს.

ჩვენ გვგონია, მოსკოვის მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები მეზობლურ ურთიერთობის აღსადგენათ და შექმნილ მძიმე ატმოსფერის გასაფანტავათ. საქართველოს ხალხს არ მიუძღვის არავითარი ბრალი ამ ატმოსფერის შექმნაში.

საქართველოს მთავრობას არ აქვს არავითარი განზრახვა რუსეთთან კეთილი განწყობილება დაარღვიოს. ჩვენ უკვე ვთქვით თავისი. სიტყვა ეკუთვნის „კომუნისტური" მოსკოვის საბჭოთა მთავრობას.

მორიგი იერიშები

III

როგორც ვთქვით, მომარაგების სამინისტროს წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივა გაზეთმა „საქართველომ" იკისრა. რატომ? ამის გასაგებათ საჭიროა გავეცნოთ იმ მიზნებს, რომლებიც დაისახა სამინისტრომ.

თავდაპირველათ განძრახული იყო, რომ სამინისტრო მხოლოდ და მხოლოდ პურის მომარაგების ფარგლებში დარჩებოდა. ეს კი ისეთი რამაა, რომლის მოგვარება არავითარ უთანხმოებას არ გამოიწვევდა არც „საქართველოს" მხრით. პირიქით, ისინი მადლიერიც იქნებოდენ, რადგან ეს საშვალებას მისცემდა „საქართველოს" ჯგუფს პურით უზრუნველყოფის ნიადაგზე უფრო კარგათ მოეპახრაკებიათ საქმეები დაქირავებული შრომის სფეროში. მარა, პურის შეძენა ჩვენს დღევანდელ პირობებში მეტად საძნელო შეიქნა. შიგნით საკმაო რაოდენობა პურისა არ იყო. საჭირო გახდა გარედან შემოტანა. უცხოეთში პურის შესაძენათ კი საჭიროა უცხო ვალიუტა, ვალიუტა კი სამინისტროს განკარგულებაში არ იყო. და აი სამინისტროც შეუდგა სტერლინგების შეძენას. როგორ შეეძლო მას მისი შეძენა? ან უნდა ეყიდა, ან—ესესხა. სესხის შოვა გაძნელდა. დარჩა ერთად ერთი გზა. ესაა რესპუბლიკის შიგნით დაგროვილ საქონლის შეძენა და მისი პირდაპირ გადაცვლა თუ გაყიდვა სტერლინგებზე. სავალიუტო საქონლის შეძენისათვის ცდამ გამოიწვია ზოგიერთ საქონელზე მონოპოლია, ზოგის შესაძენათ კი სამინისტრო ბაზარზე გამოვიდა. სამინისტროს ჩარევამ საქონლის შეძენაში შეავიწროვა კერძო ვაჭრების და სპეკულიანტების თარეში და მათი მოგება ზოგიერთ დარგში მინიმუმამდე დაიყვანა. და აი რამდენათ სამინისტრო აფართოებს თავის მოქმედებას ამ სფეროში, იმდენათ უფრო და უფრო იზრდება მის წინააღმდეგ უკმაყოფილება იმ წრეებში, რომლების მატერიალურ ინტერესს ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ინტერესები დაუპირდაპირდა და რადგან ეს სწორეთ ის წრეა, რომლის იდეოლოგიური მებაირახტრე არის ნაციონალ-დემოკრატია და მისი ორგანო „საქართველო", მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გაჩუმება და კიდევაც ააფრიალა ბრძოლის დროშა.

ამ რიგათ, მომარაგების სამინისტროს ბრძოლა დაიწყო ვაჭრობის და მოგების ნიადაგზე და მით მან მიიღო კლასიური [illegible] ზავა, არამედ ჩვენი ბურჟუაზია და იბრძვის არა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ნიადაგზე, არამედ თავის ჯიბის ინტერესების მაღლა დაყენებით და ამ ბრძოლით ლამობს საშიშარი კონკურენტის თავიდან მოშორებას. კედია და გვაზავა მხოლოდ მედროშენი და წინამძღოლნია ამ ბრძოლის. ისინი ასრულებენ თავის მოვალეობას თავის კლასის წინაშე. და რამდენათ მომარაგების სამინისტრო უფრო გააფართოვებს თავის სამოქმედო სარბიელს, იმდენათ ეს ბრძოლაც უფრო მკაცრ ხასიათს მიიღებს, მარა ამ ბრძოლის შედეგი, ეჭვი არაა, ისეთივე იქნება, როგორიც იყო ჩვენი ფეოდალების გამოლაშქრება მიწის საკითხის და მიწათ მოქმედების სამინისტროს წინააღმდეგ.

ნაციონალ - დემოკრატებმა კარგათ იციან, თუ რამდენათ სახიფათოა მათი ნამდვილი მისწრაფების გამომჟღავნება. ამიტომ ისინი მთავარ ღერძს მათი ამხედრებისა მუდამ გვერდს უვლიან და გულუბრყვილოთა თვალის ასახვევათ ეხვევიან სხვადასხვა მანტიაში და მით ლამობენ დავის ნამდვილი შინაარსის მიჩქმალვას. ამით აიხსნება ის, რომ მათმა ოფიციალურმა ორატორმა ბ. კედიამ თავის სიტყვა ააგო არა პრინციპიალურ საფუძველზე, არამედ იმ განაგონ ამბებზე, რომელიც ასე უხვათ ვრცელდება სპეკულიანტების სალონებში თუ დაინტერესებული პირების მიერ. მისი ამგვარი ხასიათის ცნობები იმდენათ საეჭვო იყო, რომ თვით ბატონი კედიაც კი ვერ ბედავდა მის ნამდვილ ფაქტათ გამოტანას და ამიტომ იყო, რომ თითქმის ყოველი ფრაზის შემდეგ იმეორებდა: „თუ ეს მართალია, მაშინ." „თუ ეს მართალია, მაშინ." ასე ბოლომდე; და რომ არც ერთი მის მიერ მოყვანილი ცნობა მართალი არ გამოდგა, ეს სავსებით დამტკიცდა იუსტიციის მინისტრის ამხ. არსენიძის სიტყვის შემდეგ, რომლის შესახებაც ბ. კედიამ არა ერთი და ორი ჭური გამოიტანა ტრიბუნაზე. მომარაგების მინისტრს ჯერ არ გაუცია პასუხი, მაგრამ დარწმუნებული ვართ ბ. კედიას „ფაქტები" მისი მხრითაც ღირსეულათ იქნება დაფასებული.

კამათში, გარდა ნაციონალ დემოკრატებისა, მონაწილეობა მიიღო ჯერ-ჯერობით მხოლოდ ესერების ფრაქციამ. მათი ორატორის ბ. შენგელაიას სიტყვა—ეს თავიდან ბოლომდე ისეთი ჭუჭყიანი ლანძღვა-გინება იყო, რომ მაზე შეჩერება სრულიად ზედმეტია. ასეთ სიტყვებს მხოლოდ ზიზღით გვერდს უვლიან...

გაზი.

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს

საქართველოს კომუნისტები ამტკიცებენ, რომ ისინი ჩვენში არალეგალურ მუშაობას არ ეწევიან, ფარული ორგანიზაციები არ აქვთ და ყველაფერი ეს ჩვენ მიერ მოგონილია რეპრესიების გასამართლებლათ. როგორც ჩვეულებრივათ, ისე ამ შემთხვევაშიაც, კომუნისტები ლაჩრულათ სტყუიან და ეს ყველამ იცის. მარა აქ ჩვენ მაინც გვინდა მოვიყვანოთ ერთი დოკუმენტი, რომელსაც ვერავითარი კომუნისტური კაზუისტიკა ვერ გადაამახინჯებს.

აი რას ვკითხულობთ ჩვენ მესამე კომუნისტური) ინტერნაციონალის წესდებაში, რომელიც ადგილობრივ რუსულ „კომუნისტის" მე-16 ნომერშია დაბეჭდილი:

„მუხ. 17. იმ ქვეყნებში, სადაც ძალაუფლების სათავეში ბურჟუაზია ან კონტრრევოლიუციონური სოციალდემოკრატია დგას, კომუნისტურმა პარტიამ ლეგალური მუშაობა მწყობრათ უნდა შეუხამოს არალეგალურ მუშაობას; ამასთან **ლეგალური მუშაობა ფაქტიურათ ყოველთვის უნდა სწარმოებდეს არალეგალური პარტიის კონტროლის ქვეშ**".

ჩვენში, ისე, როგორც სხვაგან, ამას კომუნისტები კეთილსინდისიერათ ასრულებენ და ლეგალურ შესაძლებლობას არალეგალური მუშაობისათვის იყენებენ. ახლა ბრმამაც აშკარათ უნდა ხედავდეს, რომ მთავრობის მიერ დაჭერილი შეთქმულები, გამცემლები და უცხოეთის ჯაშუშები, კომუნისტური პარტიის წევრებია. აი, ვისი ხელით გროვდება აქ სამხედრო ცნობები. ვისი კარნახით იწერება კომუნისტურ ლეგალურ პრესაში აჯანყებისადმი მოწოდებები, ვინ უგზავნის ინსტრუქციებს შეთქმულებს და სხვადასხვა!

აი, როგორ პატიოსან მოპირდაპირესთან აქვს საქმე ქართველ დემოკრატიას!

და ამის შემდეგ რა ფასი აქვს კომუნისტების მტკიცებას, რომ ისინი სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას და უარყოფენ შეთქმულებას? ი.

პ რ ე ს ა

უდანაშაულო მსხვერპლნი!

ქართული „კომუნისტი" დიდ წერილს უძღვნის ნავთის შეწყვეტის საკითხს, მარა, როგორც მისგან მოსალოდნელი იყო, თვით საკითხის გამო სდუმს. იგი სწერს:

„ჩვენ არ შევეხებით არსებითად ამ ზომას და მის გამომწვევ მიზეზებს. ჩვენთვის უფრო საინტერესოა (რასაკვირველია!—მეპ.) თვით ფაქტი საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავებისა, რომელიც ჩვენი პარტიის ისედაც შევიწროებულ მდგომარეობას, კიდევ უფრო კრიტიკულათ ხდის".

„კომუნისტი" ამტკიცებს, რომ პარტია უდანაშაულოთ ისჯება.

„ახლა ყველასთვის ადვილი გასაგებია ის გაფთრებული კამპანია, რომელსაც ამ ბოლო დროს მართველი პარტია ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებს. რუსეთთან თავის განწყობილების გამოაშკარავებას საქართველოს მესვეურნი პირველ ყოვლისა იმით იწყებენ, რომ ჩვენსკენ მიმართავენ მთელი თავისი ზეგავლენის იარაღებს".

ყველასათვის ადვილი გასაგებია აქ არა ეს, არამედ მეორე ფაქტი, სახელდობრ ის, რომ რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულების გამწვავების თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში უმთავრესი მიზეზი ადგილობრივი კომუნისტური პარტია და მისი პროვოკაციული მუშაობა არის. ისინი აღიზიანებენ საბჭოთა რუსეთს, აწოდებენ ყალბ ინფორმაციას, ამწვავებენ ადგილობრივ მდგომარეობას და სხვ.

კომუნისტები ვერავის დააჯერებენ იმაში, რომ მათი

„პარტია იდევნება არა მარტო თავისი სრულიად ლეგალური და სავსებით ლოიალური (?!) მოქმედებისთვის, არამედ იგი იდევნება აგრეთვე იმისდა მიხედვით, თუ როგორ განწყობილებაშია ერთმანეთთან ორი სახელმწიფოებრივი სხეული: საქართველო და რუსეთი".

მოდი და ნუ დარწმუნდები ამის შემდეგ, რომ ჩვენებური კომუნისტები ტყუილა იჭულიტებიან, ტყუილა იდევნებიან ეს ყოვლად უდანაშაულო მსხვერპლნი!

ახ, ბ-ნნო კომუნისტებო, დიდი ოხუნჯები ხართ, რომ ხალხი არ გიცნობდეთ!

დამფუძნებელი კრება

14 დეკემბრის სხდომა.

(დასასრული)

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ვიქტორ თევზაიას სიტყვა.

დღეს, როგორც მოგეხსენებათ, აქ არის კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ. უმთავრესათ ის ეხება იმ საერთო ხაზს, რომელსაც ატარებს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკაში (ნაც.-დემოკრატების სკამებიდან: „კაუცკის დახმარებით"). რაც შეეხება დახმარებას,—აქ კაუცკის მაგივრათ ერთ დროს ვილჰელმის შვილების მოყვანას ცდილობდენ.

მე არ ვიხმარ ასეთ სიტყვებს, როგორც ბ. შენგელაიამ იხმარა. გავა დრო და თვითონ ბ. შენგელაია წაიკითხავს თავის სიტყვებს სტენოგრაფიულ ანგარიშში და ალბათ, გაწითლდება თავის სიტყვებისათვის.

სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია ერთხელ გაზეპირებულ ფრაზებს იმეორებს მუდამ.

როდესაც ბათომი უცხოელების ხელში იყო,—აქ გამოვიდა შენგელაია და განაცხადა: ბათომი დაკარგა სოც.-დემოკრატიულმა მთავრობამ, მაგრამ მას დაიბრუნებს ერების მთავრობაო. მაგრამ ახლა, როცა ბათომი ჩვენმა მთავრობამ დაიბრუნა, სოც.-რევოლიუციონერებს არ შეუძლიათ ეს ჩვენი მთავრობის დიდებით მოღვაწეობათ დასახონ, ვინაიდან მათ სრულიათ დაკარგეს ობიექტივობა.

როცა საზღვრების დაცვა საჭირო იყო და მტრები ემზადებოდენ საომრათ,—ბ. შენგელაია მუდამ იმეორებდა: საზღვრების დაცვის საქმე არ არის საიმედო ხელში და ეს მთავრობა უნდა გადადგესო. (ლ. ნათაძე: პინკრაჩაა, კაცო!) მაგრამ ყველამ კარგათ იცის, რომ მიუხედავათ ზოგიერთების სურვილისა, ჩვენი მთავრობა მუდამ ღირსეულათ იცავდა რესპუბლიკის საზღვრებს იმ ჯარის საშუალებით, რომელიც არა ერთხელ მოუხსენებია ცუდათ ბ. ლ. შენგელაიას. ჩვენი სამხედრო ორგანიზაცია თანდათან მაგრდება, ძლიერდება; მაგრამ, რაც უფრო კარგათ ეწყობა რესპუბლიკის საქმე,—სამხედრო ორგანიზაცია იქნება ეს, თუ მართვა-გამგეობის აპარატი,—შენგელაია მით უფრო სასტიკი სიტყვებით იხსენიებს მათ. და ამას შვრება იმიტომ, რომ მას დაკარგული აქვს ობიექტივობა. შემდეგ აქ ბევრი ილაპარაკეს მომარაგების სამინისტროს შესახებ. ის განგაში და ხმაურობა, რომელიც ატეხილია მომარაგების სამინისტროს გარშემო, ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობა-მოქმედებასთან დაკავშირებულია ინტერესები ბევრი ვაჭრების და სპეკულიანტების. (ს. კედია: „ახალი სხივი" ვის ეხება?) ზოგიერთი წერილები „ახალი სხივისა" ეხება იმ ბოროტ-მოქმედებას, რომელსაც ჩადის ზოგიერთი მოხელე და ამის შესახებ „ახალი სხივის" წერილები ბუნებრივი წერილებია.

რაც შეეხება მომარაგების სამინისტროს,—ეს მუშაობს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მიიღო დამფუძნებელი კრების უმრავლესობამ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მომარაგების სამინისტრომ ორი დიდი ამაგი დასდო ჩვენს სახელმწიფოს. ერთის მხრივ, როცა ადერბეიჯანთან ომი გვქონდა და ჯარების მობილიზაცია გამოცხადდა,—მაშინ ჩქარა და კარგათ მოხდა სურსათის მობილიზაციაც და თქვენ იცით, რომ ჩვენს ჯარს და გვარდიას სურსათი საკმაო ჰქონდა. მეორეს მხრით—მომარაგების სამინისტროს ყველაზე უფრო ჩაგრულ ელემენტებისათვის ჯერ-ჯერობით არ გამოლევია თითო გირვანქა პური.

აქ ერაძე შეადარეს ბებელს და მე უნდა ვსთქვა, რომ ერაძის გარშემო ატეხილი განგაში, ხმაურობა მომეტებულათ იმიტომ არის, რომ ერაძე არ არის დიპლომიანი მინისტრი; ის მუშათა წრეებიდან არის გამოსული (ტაში). ჩვენ ძლიერ გვიხარია, რომ იმ ნულებიდან, რომელზედაც 30 წლის წინათ ლაპარაკობდენ და რომლიდანაც კარგს არაფერს ელოდენ,—გამოვიდა მინისტრი (ტაში).

შემდეგ შენგელაია შეეხო იძულებით სესხს და სთქვა, რომ მე ვერ წარმომიდგენია ისეთი სოციალისტები, რომლებმაც იძულებით სესხს მიმართონო... ბ. შენგელაია, როცა უნდა, საუკეთესო სოციალისტურ მთავრობათ მოსკოვის მთავრობას სახავს და მან (შენგელაიამ) უთუოდ იცის, რომ მოსკოვის მთავრობა გაცილებით უფრო ფართოდ ხმარობს იძულებით ზომებს, ვინემ ჩვენი.

შემდეგ ბ. შენგელაიამ აქ იკადრა ისეთი სიტყვების წარმოთქმა, რომელსაც ის აქედან არ უნდა ლაპარაკობდეს. მან სთქვა, რომ მენშევიკებს ბევრი ფულები აქვთ, ისინი კვლავ შენდენ ახალ სტამბებს, სახლებს და სხვ. ეს სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. ბ. შენგელაიამ იცის, რომ ის სიცრუეს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც ამბობს და ეს არის არა საკადრისი, მიუღებელი. შემდეგ მან სთქვა, რომ სოც.-დემოკრატიას აურაცხელი პროპაგანდისტები ჰყავს, რომელნიც სოფლად დაძრწიან და სხვ. ბ. შენგელაიას მოვახსენებთ, რომ სოც.-დემოკრატიას მართლა ბევრი პროპაგანდისტები ჰყავს, წინეთაც, ძველი რეჟიმის დროსაც ჰყავდა და მომავალშიაც ეყოლება, მაგრამ ჰყავს თავის ხარჯზე და არა სახელმწიფოს ხარჯზე. ისიც მართალია, რომ ისინი, მიუხედავად ცუდი ამინდისა, სოფლად დაძრწიან და არ გვანან იმ დეპუტატებს, რომლებიც მაზრაში სასტუმროს არ ცილდებიან.

შემდეგ ბ. შენგელაია შეეხო საგარეო პოლიტიკას და იცით, ვისი საშუალებით აკრიტიკებდა მას?—გაზ. „ერთობაში" მოთავსებული წერილის. ეს იმას ნიშნავს, რომ სოც.-დემოკრატიული პარტია საუკეთესო გამკრიტიკებელია თავისი თავისა, ვიდრე სხვა ვინმე. დეპუტატმა არასოდეს არ უნდა ისარგებლოს. აბა, როგორი იქნება, რომ გადავისროლოთ ხალხში ასეთი რამ, მაგ. პარიზში ჩვენი დელეგაციის წევრათ იყო სოც.-რევოლიუციონერი ი. გობეჩია. ის თვეში იღებდა 500 ათას მანეთსო. არა, ჩვენ ამას არ ვიზამთ, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ფულის კურსის მიხედვით იქ ეს ფული საჭირო იყო (ლ. შენგელაია: თქვენ რამდენს იღებდით უკრაინაში ყოფნის დროს?) მე ვიღებდი 1500 მან. (შენგელაია: იმიტომაა, რომ გამხდარი ხართ.) დელეგაციამ პარიზში ის გააკეთა, რომ ჩვენ ფაქტიურად გვცნეს და იურიდიული ცნობისათვის ნიადაგი მომზადებულია. შემდეგ ორატორი ეხება იმ ბრალდებებს, რომელიც წაუყენეს მომარაგების სამინისტროს და ამბობს, რომ მომარაგების მინისტრიც ასეთ საფუძვლიან პასუხს გასცემს ბრალდებებზე, როგორც იუსტიციის მინისტრმა გასცაო. რაც შეეხება ხალხის ნდობას, ბატონო შენგელაია, გავა დრო და ჩვენ მოწმენი გავხდებით იმისა, რომ თქვენი ფრაქცია ისე გარიყული დარჩება, როგორც ეს მას მოუვიდა ზუგდიდის მაზრაში, სადაც ასე თუ ისე, ხალხის საგრძნობი ნაწილი მას აძლევდა ხმას. (ტაში.)

კამათის გაგრძელება შემდეგისათვის გადაიდო.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

17 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკურ)

სმოლენსკის „ჩეკა"

მოსკოვი. 16 დეკემბ. სმოლენსკის ჩეკამ მსტისლავის მაზრაში არსებულ მოზოლოვის მონასტერში დიდ-ძალი სურსათი და სხვა საქონელი აღმოაჩინა.

წასვლის მსურველნი.

საქართველოში მყოფი რუსი არტისტები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები აცხადებენ სურვილს რუსეთში დაბრუნებისას.

ახალი მთავრობის შესადგენათ.

ესერთა პარტიის კომიტეტი იწვევს პარიზში ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრებს, რუსეთის ახალ მთავრობის შესადგენათ და გამოსაცხადებლათ.

ტროცკის მოხსენება.

საბჭოთა რუსეთის საერთო მდგომარეობის შესახებ საბჭოთა მეორე გაერთიანებულ საგუბერნიო ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ტროცკიმ. ჩვენ განვიცადით პირველ მომენტს, როდესაც არ გვაქვს სამხედრო ფრონტი. გადავიდა რა სამშვიდობო პერსპექტივებზე ამხ. ტროცკიმ აღნიშნა: მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ გვეშუქება უშუამავლოთ მტერი, მაინც არ ვფიქრობთ განიარაღებას. სამშვიდობო ორიენტაცია ჩვენი პოლიტიკისა ჯარის მოწყობასთან ერთად გვისახავს მიზნათ მრეწველობის დარგში სრულ შეთანხმებულ მეურნეობის წარმოებას. ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი მეურნეობის ყველა დარგი: სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა და ჩვენი ტრანსპორტი იქნეს აყვანილი განსაზღვრულ სიმაღლეზე. ამ ჟამად თვით დაცვის შრომის საბჭო გადაკეთდება მუდმივ ეკონომიურ თათბირად. მისი მიზანი იქნება მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების დაწინაურება და მთლიანი სამეურნეო ფრონტის შექმნა, სადაც სოფელი მუშაობს ქალაქისათვის და ქალაქი სოფლისათვის. მუშებს და გლეხებს რომ არ ჩაეგდოთ ძალა უფლება ხელში, ქვეყანა დაიღუპებოდა. ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც არ არის დამონავებული ინგლისისა და ამერიკის გამარჯვებულ იმპერიალიზმის მიერ, ეს არის ჩვენი, თუმცა ღარიბი, გამოფიტული საბჭოთა რუსეთი.

გერმანული ცნობები

დანციგის პარლამენტში.

დანციგის პარლამენტმა მიიღო რეზოლიუცია, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები იმ მიზნით, რათა ხელი შეუშალონ პოლონელებს აღმოსავლეთ პრუსიის წინააღმდეგ სიმაგრეების აგებაში და ამგვარივე სიმაგრეების აგებაში ზღვის ნაპირზე დანციგის ტერიტორიაზე და აგრეთვე უფლება არ მისცენ პოლონეთის დივიზიონს, რომ იგი დანციგის საგარნიზონო ჯარის მოვალეობას ასრულებდეს. ამ რეზოლიუციას ხმა მისცა ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა.

ლიგის ცნობები

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის სხდომაზე განიხილეს საკითხი ახალ სახელმწიფოების მიღების შესახებ. მოტტამ მიმართა თხოვნით ერთა ლიგას მიეღო თავის შემადგენლობაში გერმანია და მასთან ერთათ ავსტრია. შემდეგ ილაპარაკა ვივიანმა, რომელმაც განაცხადა რუსეთის შესახებ, რომ საფრანგეთი არ დაუშვებს დაბალ კლასების ტირანიას ისე, როგორც მაღალი კლასის და რომ საფრანგეთი მოუცდის იმ დროს, როცა დიდი რუსეთი, დაასრულებს რა თავის რევოლიუციას, მიმართავს ბოლოს და ბოლოს მართველობის დემოკრატიულ მეთოდებს. ამის გარეშე კი შესაძლებელია იარსებოს მხოლოდ ანარქიამ და დესპოტიზმა. გერმანია კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევა ერთა ლიგაში, თუ იგი მოგვცემს განსაზღვრულ გარანტიებს, რომ გულწრფელათ აასრულებს თავის თავზე მიღებულ ვალდებულებას.

ლორდ-რობერტ სესილი მიესალმა ვივიანს და სთქვა: რომელი სახელმწიფოც არ უნდა წარმოდგეს ჩვენ წინაშე, იქნება ეს გერმანია თუ რუსეთი, ჩვენ მოვსთხოვთ მას ერთადა იმავე პირობების შესრულებას.

ავსტრიის ერთა ლიგაში მიღებაზე 35 სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა. ბულგარეთი 35 ხმით იქნა მიღებული. საფრანგეთმა თავი შეიკავა. ვივიანმა განაცხადა, რომ მას არაფერი არა აქვს ბულგარეთის წინააღმდეგ, მაგრამ ბულგარეთის საქმეებში ის არ თვლის თავის თავს ავტორიტეტულათ. კოსტარიკა მიღებულ იქნა 38 ხმით, ფინლიანდია 39 ხმით, ასევე ლიუქსენბურგი. სომხეთის მიღების საკითხი უარყოფილ იქნა 31 ხმით წინააღმდეგ 8 ხმისა. საფრანგეთმა თავი შეიკავა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

17 დეკემბერი.

საომრად ემზადებიან.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის ყველა ფრონტზე შეწყვეტილია სამხედრო მოქმედებანი, რუსეთი მაინც ემზადება საზამთრო კომპანიისათვის. უკანასკნელი დეკრეტით გამოცხადებულია მობილიზაცია 36 წლამდე. ამავე დეკრეტით გამოცხადებულია მამაკაცების შეცვლა ქალებით ქარხანა ფაბრიკებში.

საბჭოთა ჯარების შესახებ.

პარიზი. საფრანგეთის პრესა იუწყება საბჭოთა ჯარების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით სპარსეთსა და ირანში ბოლშევიკებს შეუდგენიათ ახლო აღმოსავლეთის კომუნიზაციის მიზნით იმ გვარივე ტიპის რაზმები, როგორიც არის ლატიშებისა და ჩინელების დივიზიები.

წითელ ჯარში შემოიღეს წარმატების სხვადასხვა ნიშნები, მათ შორის წითელი ვარსკვლავისა და წითელი დროშის ორდენები. გავრცელებულია აგრეთვე დაჯილდოება ოქროს იარაღით, პორტსიგარით, ოქროს საათებით და სხვ. პრესა იუწყება აგრეთვე ტროცკის მატარებლის დაცვის შესახებ; მას იცავენ ლატიშების რაზმები, რომლებსაც მაყვალის ფერი ფორმა აცვიათ. თვით მატარებელს რკ. გზ. სადგურებზე იცავს ჩრეზვიჩაიკების აგენტები. იმ მიზნით, რომ ვერ შესძლონ ტროცკის ვაგონის აფეთქება, ვაგონს ქვევით ჯავშანი აქვს გაკეთებული.

რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა.

ლონდონი. ინგლისური პრესა იუწყება: საბჭოთა მთავრობის ფინანსიური ცხოვრება სრულებით დაშლილია. თითქმის არავითარი შემოსავალი არ არის, გასავალი კი განუსაზღვრელია. მიუხედავათ იმისა, რომ მოაწყვეს ქაღალდის დამამზადებელი ახალი ექსპედიციები და ფულის საბეჭდი მანქანები შეუჩერებლივ მუშაობენ, ქაღალდის ფულის მაინც დიდი ნაკლულოვანება არსებობს. არავითარი ვაჭრობა არ არსებობს. მაღაზიები დაკეტილია. ღიაა მხოლოდ საბჭოთა ცარიელი დუქნები.

როძიანკოს წერილი.

სტამბოლი. გაზ. „სტამბოლი" ბეჭდავს როძიანკოს წერილს სამხრეთ რუსეთის მდგომარეობის შესახებ. წერილში აღნიშნულია: ვრანგელის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა უკრაინას, რომელიც მტრულად უცქერის ბოლშევიზმს. როძიანკო ფიქრობს, რომ სამხრეთი რუსეთი უფრო ადრე განთავისუფლდება ბოლშევიკების ზეგავლენისაგან, ვიდრე ჩრდილოეთი რუსეთი, ან ციმბირი.

იგი აღნიშნავს: ანტიბოლშევიკურ რუსეთის მომავალმა მეთაურებმა პირველ ყოვლისა ანგარიში უნდა გაუწიონ იმ ფაქტს, რომ რუსეთში არსებულ ერებს ეზიზღებათ ცენტრალიზაცია. ამიტომ რუსეთის სახელმწიფოს აღსადგენად საჭიროა ახალი გზების გამონახვა, სახელდობრ იმ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმთა ფედერაცია, რომელთაც საერთო პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ექნებათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თანახმად მე 3 ინტერნაციონალის წესდებისა ემორჩილება არა ლეგალურ ცენტრის დირექტივებს და ამზადებს ჩვენში შეიარაღებულ გამოსვლას.

როგორც ჩვენ მიერ ამას წინად გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, დასახელებული გამოსვლების მოსამზადებლათ თანხას უცხო სახელმწიფოდან იღებენ. ეს თანხა ხმარდება როგორც ლეგალურ, ისე არა ლეგალური მიზნების განხორციელებას.

ქართული და რუსული „კომუნისტი" იყიდება ცალი 10 მან. ხშირად უფასოდაც არიგებენ, ხოლო ცალი გაზეთის გამოცემა კი ჯდება 25—20 მ.

დასასრულ მიზნის მისაღწევათ კომუნისტური პარტია ცდილობს უცხო სახელმწიფოდან მიღებულ თანხით მიიმხროს მოსწავლე ახალგაზრდობა, ამისათვის იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას, ხშირია ისეთი შემთხვევა, რომელთაც აშკარა მოსყიდვის ბეჭედი აზის.

მიუხედავათ ასეთი ზომებისა, საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა გადაჭრით უარყოფს კომუნისტების გზას.

საქართველოს კომუნისტური პარტია უცხოელ ქვეშევრდომთაგან შესდგება, რომელნიც ვერ შერიგებიან საქართველოს დემოკრატიის თვითგამორკვევას და რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას ცდილობენ.

დეკემბრის 8 თფილისის კომიტეტის მე-2 რაიონის სხდომას საგანგებო რაზმის მიერ მიღებული ცნობებით საბოლოოთ უნდა გამოერკვია აჯანყების გეგმა, თანახმად საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დირექტივებისა. მიცემული იყო ბრძანება იქ დამსწრეთა გაჩხრეკის შესახებ. კრებაზე აღმოჩნდენ: 1) ხოტოსოვი სტეფანე მინასის ძე, 2) სიტნიკოვი კონსტანტინე, 3) ისტროეინკი კაზიმირ, 4) სეგალი ციფა რუბენის ასული, 5) ალიხანოვი გიორგი, 6) პაპოვი ბალდასარ ივანეს ძე, 7) დეკიდიანცი მესროპ, 8) ბელერგო ვასილი, 9) ლევინი გრიგოლ დანიელის ძე, 10) სიტნიკოვი ოლღა ვასილის ასული, 11) ლევინი ელენა, 12) კერუმოვი სარქის ივანეს ძე, 13) იშხანოვი მიხეილ, 14) განცევიჩი დიმიტრი, 15) კიუპლერი ვლადიმერ, 16) კოტიანცი გიორგი, 17) გოდაბრელიძე სიმონი, 18) რუბანოვი ივანე, 19) კოლესნიკოვი ივანე, 20) პეტროვი გიორგი, 21) შეჩენკო დიომიდე მაკარის ძე, 22) კრავცოვი მაქსიმ, 23) როვინსკი ისარ იოსების ძე, 24) ფილატოვა ზოია იაკობის ასული, 25) ბარანცევიჩი ელენე ივანეს ასული, 26) მიქაელიანი არმანუილ 27) თმიაძე გიორგი, 28) ვრალი თედორე სიმონის ძე, 29) დანდუროვი სტეფანე ალექ. ძე, 30) ხმელნი გიორგი იგნატ. ძე, 31) სიდამონიძე ესტატე, 32) პატაევი ივანე პავლეს ძე, 33) ედელსონი ემმა ლევის ასული, 34) შაპოვი მაქსიმე ივანეს ძე, 35) პატაევი თედორე იაგორის ძე, 36) მარქაროვი ბალდასარი, 27) გურული სპირიდონ.

ამათში მხოლოდ 4 კაცია საქართველოს მოქალაქე, დანარჩენი 33 წევრი უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან. პირველ რაიონის „იაჩეიკის" წევრთა შორის, რომელიც შესდგება 250 კაცისაგან, 173 უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომია, ასეთსავე სურათს იძლევა კომუნისტური სხვა „იაჩეიკების" წევრთა სიებიც.

პარტია, რომელიც უცხოელთაგან შესდგება, მთელ თავის იმედებს ამყარებს უცხო შეიარაღებულ ძალაზე. პარტიის ორგანიზაციები ხშირათ მიმართავენ აზერბაიჯანისა და კავკავის რევკომებს დახმარებისათვის და სწორეთ ამ იმედით სულდგმულობენ და მოქმედებენ.

მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები უცხოელ ქვეშევრომთა მოქმედების ასალაგმავათ და რესპუბლიკაში სრული წესრიგის დასაცავათ. (სდს.).

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

15 დეკემბრის სხდომა.

ქ. ჯაფარიძის სიტყვა

ბ. დამფუძნებელ კრების წევრნო! მინდა პასუხი გავცე იმ ორატორებს, რომლებმაც გააკრიტიკეს ჩვენი კონსტიტუციის პროექტი, უმთავრესად კი ბ. გ. გვაზავას.

რესპუბლიკამ შესცვალა მონარქია და ამ მონარქიიდან რესპუბლიკანურ წესწყობილებაში გადმოტანილ იქნა წმინდა მონარქიული ელემენტები. პრეზიდენტური სისტემა არის შერბილებული მონარქიული პრინციპი. მონტესკიემ თავის თეორია შეიმუშავა ინგლისის მაგალითზე. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წ. კონსტიტუციის ავტორებმა პრეზიდენტის თანამდებობის შექმნის დროს ნიმუშათ იმავე ინგლისის მეფეს ხმარობდენ. ცალკე შტატებში კი თავდაპირველათ ერთპიროვნული ხელისუფლება იმავე ინგლისიდან გადატანილი სისტემაა.

საფრანგეთის 1875 წ. კონსტიტუციის ავტორებმა ეს მონარქიული პრინციპი გახზრახ შეიტანეს კონსტიტუციაში. ისინი იყვნენ პარიზის კომუნის აჯანყების შიშის შთაბეჭდილების ქვეშ. მათ უნდოდათ ისეთი ძლიერი მთავრობა, რომელიც დემოკრატიის ბატონობას გასტეხდა. ისინი თავის უმრავლესობით მონარქისტები იყვნენ. საკონსტიტუციო კომისიაში, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი შეიმუშავა, 30 წევრიდან 20 მონარქისტი იყო. აი ისტორია პრეზიდენტური სისტემის წარმოშობისა. ამას თუ მივუმატებთ პრეზიდენტის უპასუხისმგებლობას და მის ფართო კომპეტენციას,—აშკარა იქნება, რომ პრეზიდენტი არის იგივე მონარქი, ცოტა ფერშეცვლილი. ამ სისტემის ჩვენს დემოკრატიულ წესწყობილებაში გადმოტანა დაუშვებელია.

თუ პრეზიდენტი აირჩია პირდაპირ ხალხმა, მაშინ პრეზიდენტი ისეთი დიდი ძალა უფლებით იქნება აღჭურვილი, რომ იგი თავის ავტორიტეტით უპირდაპირდება პარლამენტს და ის იმავე ძალას ეყრდნობა, რასაც პარლამენტი. ამნაირად [illegible]—ხელის ლებასა და პარლამენტს შორის ხ კონფლიქტები. იგი საშიშია დემოკ ტიული რესპუბლიკისათვის. საფრანგ ში ასეთი წესით არჩეულმა პრეზიდ ტმა 1851 წ. დახია კონსტიტუცია გარეკა პარლამენტი.

თუ პრეზიდენტი პარლამენტმა ა ჩია,—მაშინ ხდება წინააღმდეგი. პ ზიდენტი მეტად სუსტი და მორჩილ საფრანგეთის კონსტიტუციით პრე დენტს ირჩევენ 7 წლის ვადით. მაგ ეს ვადა თითქმის არც ერთ პრეზიდენ არ მოუთავებია. ვადის შესრულებამ გადადგენ სამსახურიდან, ვინაიდან პ ლამენტს უნდობლობა შეატყვეს ვინმემ შეასრულა ვადა,—ეს იმას ამტ ცებს, რომ ასეთ უნდობლობას ადგი არ ჰქონია.

პრეზიდენტს აქვს „ვეტოს" უფლ აგრეთვე მისი საშუალებით მთავრობ აქვს უფლება პარლამენტის დათხოვ არც ერთს პრეზიდენტს ამ უფლები თვის არ მიუმართავს.

კონსტიტუციით მთავრობას ირჩ პრეზიდენტი, ფაქტიურათ კი იგი ჩევს ისეთ მთავრობას, რომელსაც პ ლამენტის უმრავლესობა კულისებ დაუსახელებს. პრეზიდენტის „ვეტ ძირითადათ ეწინააღმდეგება დემ კრატიზმს. ამ უფლებით პრეზიდენ შეუძლია პარლამენტის მუშაობა მეტ შეაფერხოს და ისეთი კანონი, რომელ მას არ მოეწონება,—არ გაუშვას. ამ შეგვიანებას ხანდახან გადამწყვეტი მ შვნელობა აქვს. მაგალითათ, ოსებ აჯანყების დროს ჩვენ მიერ მიღებ სიკვდილით დასჯის კანონი რომ ვ შეეჩერებინა,—მაშინ ეს კანონი მიზ ველარ მიაღწევდა. პარლამენტის მუშ ბას კანტროლი უნდა გაუწიოს ხალ რეფერენდუმის საშუალებით, და პრეზიდენტმა „veto"-ს საშუალებით.

პრეზიდენტს ჯარს ვერ ჩავაბარე ჯარის ერთი პირის ხელში გადაც საშიშია რესპუბლიკისათვის. ჯარი უნ იქნეს პარლამენტის გამგებლობაში.

დემოკრატიზმი მოითხოვს კოლეგ ლურ მართვა-გამგეობას. ეს სისტ ჩვენმა სამი წლის პრაქტიკამ გაამ თლა და იგი უნდა დარჩეს.

შემდეგ ორატორი ეხება კონსტიტ ტუციის გარანტიას და ამბობს: მეცნ რებამ ვერ გამონახა ისეთი უფლებრ ორგანო, რომელიც უზრუნველყოფ იმას, რომ პარლამენტმა კონსტიტუც საწინააღმდეგო კანონი არ გამოსცეს იმავე დროს იგი იყოს პარლამენტ უფრო სანდო. გვაზავას წინადადებ რომ სასამართლოს მიეცეს კონსტიტ ციის დაცვის უფლება, მიუღებელია ს სამართლოს მოქმედების კანონის ფარ ლებში. ის კანონის მორჩილია.

კანონის შესრულებაზე თვით პარლ მენტი ვერ იტყვის უარს. თუ სასამარ ლოს მიეცა უფლება, რომ მან არ შ რულოს კანონი, რომელიც მისი აზრ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, ეს ნება სასამართლოს კანონზე მაღლა ყენება.

თუნდაც კერძო საჩივრის გამო სას ტის განმარტება, რომ კანონი კონსტ ტუციას ეწინააღმდეგება და ის ამ ნონით ვერ იხელმძღვანელებს, არსებ თად ნიშნავს კანონის გაუქმებას.

სასამართლოს შეუძლია რაიმე მოსა რებით განმარტების სახით გააუქ ისეთი კანონი, რომელიც მას არ მ წონება. პროლეტარიატი უძლურია ებრძოლოს მას ამ შემთხვევაში. თვით ს სამართლოს ასეთი უფლების პრინც პიალური მომხრენიც კი მას უარყოფ ამა თუ იმ კონკრეტიულ პირობებშ უკეთუ მაგისტრატურას თავისი ხა გრძლივი მოღვაწეობით ხალხის ნდ ბა არა აქვს დამსახურებული. ჩვენი ს ნატი ახალი ორგანიზაციაა. მას არ აქვს ისტორია. ჩვენ მას ავანსად ას დიდ ნდობას ვერ გამოვუცხადებთ ხალ ამერიკის შტატებში უმაღლესმა სას მართლომ ვერ გაამართლა ნდობა. კონ რესმა ორჯერ შესძლო მისი შედგე ლობა თავის მიზნებისათვის შეეცვა 1868 და 1874 წ.წ, როცა პრეზიდ ტებათ ირჩევდენ ტილდენსა და გრა

ნაკლები ბოროტება იქნება, რომ პარ ლამენტი დავსტოვოთ ამ მხრით თა სუფალი, ვიდრე იგი შევზღუდოთ სას თლოს კანტროლით, მაგრამ სასამართ კი მივსცეთ ასეთი დიდი უფლება: 1) სა მართლო მაშინ რჩება თავის დანიშ ლების ფარგლებში; 2) ადგილი ა ექნება პოლიტიკურ ბრძოლაში სასამ თლოს მონაწილეობას; 3) მთელი ნ ნდობით აღჭურვილი პარლამენტის ველევე მოქმედება უფრო მისაღე ვიდრე სასამართლოსა; 4) პარლამენტ კანონის მიღება ხდება საჯაროთ ირგვლივ იმართება ბრძოლა, რაც გამ ხმაურებას პოულობს ხალხშიაც. ეს ე გვარ გავლენას ახდენს პარლამენტ კონსტიტუციის სასარგებლოთ. სასამ თლო ასეთი გავლენისაგან თავისუფ მას გადაწყვეტილება გამოაქვს საი ლოთ; 5) პარლამენტის თვითნებობ გამოასწორებს ხალხი რეფერენდ საშუალებით, სასამართლოს ბორო ქმედება ან შეცდომა კი დარჩება; 6 სამართლოს კანტროლი ეწინააღმდ სახალხო რეფერენდუმს.

კონსტიტუციის გარანტიათ ჩაით ბა: 1) რეფერენდუმი, 2) პარტ ბრძოლა პარლამენტში, 3) ოპოზ და მისი საშუალებით გავლენა, 4) პრ

ახლა მინდა მხოლოდ ზოგიერთ ბულებაზე ვუპასუხო ბ. შენგელაიას ერთოდ მას სხვები—ჩემი ამხანაგები

სცემენ პასუხს. ბ. შენგელაიას მიუღებლათ მიაჩნია ფორმულა: „სახელმწიფოს მუდმივი და უცვლელი ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა."

ეს ფორმულა არ ამტკიცებს მას, რომ თითქოს ჩვენ მომხრე ვიყოთ იმ თეორიისა, რომელიც რაიმე მოვლენას სოციალურ ეკონომიურ დარგში მარადიულ ხასიათს აძლევს. პოლიტიკური ფორმის მუდმივობა და უცვლელობა განისაზღვრება იმ დროით, ვიდრე არსებობს თვით სახელმწიფო. სახელმწიფო კი, როგორც იძულებითი პოლიტიკური ორგანიზაცია, ჩვენ მუდმივ მოვლენათ არ მიგვაჩნია.

არ შეიძლება კაუცკის არ დავეთანხმოთ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ეგუება სოციალიზმს.

რესპუბლიკა ნიშნავს ისეთ წყობილებას როცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა არის ხალხის, საზოგადოების ხელში. ეს არის ფორმა. შინაარსი მრავალ ფეროვანია იმისდა მიხედვით, თუ როგორია ამ ხალხის შემადგენლობა. თუ მასში გაბატონებულია არისტოკრატია,—რესპუბლიკა არის არისტოკრატიული, თუ ბურჟუაზია—რესპუბლიკა არის ბურჟუაზიული, თუ კი მთელი ხალხია გაბატონებული,—მაშინ რესპუბლიკა დემოკრატიულია.

ასეა დემოკრატიაც. მისი შინაარსი განისაზღვრება მისი კლასიური შედგენილობით, თუ მასში უმრავლესობას შეადგენენ ბურჟუაზიული ელემენტები, იგიც ბურჟუაზიულია, თუ სოციალისტური,—მაშინ დემოკრატიაც სოციალისტურია.

ცხადია, დემოკრატიული რესპუბლიკა ხელს არ შეუშლის სოციალიზმის დამყარებას და ამიტომ ხსენებული მუხლი ჩვენს კონსტიტუციაში უნდა დარჩეს.

ბ. შენგელაია არ ეთანხმება ნ. ჟორდანიას დებულებას, რომ უფლება არის გამოხატულება ფაქტიური ურთიერთობის და იგი ზედნაშენია ეკონომიკისა. განა ამ დებულებას ჩვენი მდგომარეობა არ ამტკიცებს? განა თვით ჩვენი სახელმწიფოს შექმნა ფაქტის საქმე არ არის და ჩვენში შექმნილ ურთიერთობას ფაქტიური ხასიათი არა აქვს? იგი მხოლოდ თანდათანობით იღებს უფლებრივ სახეს და მისი სრული სახე მხოლოთ დღეს იწერება. ეს არის კონსტიტუცია.

ჯერ უფლება და მერე ეკონომიკა—აბსურდია. მაშინ უფლება უმიზეზო მოვლენა იქნებოდა·

ამ დებულებას ორატორი ასაბუთებს მაგალითებით მონობის, ბატონყმობის და კერძო საკუთრების წარმოშობის და გაუქმების ისტორიიდან და განაგრძობს:

ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორება, მართალია, ახალი უფლებაა, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, როგორც შენგელაიას ჰგონია იმას, თითქოს უფლებას ქმნის ადამიანი. ეს ახალი უფლება შექმნა ახალმა ძალთა განწყობილებამ. მართვა გამგეობა იმათ ხელშია, ვინც მომხრეა სინდისის თავისუფლებისა.

ვერც ინგლისის და საქართველოს შედარება აბათილებს ჩვენს დებულებას ინგლისი უძლიერესათ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა. ამ უძლიერესათ განვითარებამ კაპიტალისტური წყობილებისა იქ წარმოშვა ძლიერი ბურჟუაზია. ჩვენში ეკონომიურმა განუვითარებლობამ ვერ შექმნა ძლიერი ბურჟუაზია და ამიტომ მართვა-გამგეობა ხელში აიღო დემოკრატიამ.

ახლა ორიოდე სიტყვა ს. დადიანის სიტყვის შესახებ. ბ. დადიანის აზრით ჩვენს პროექტში გატარებულია მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ეს გაუგებრობაა. არის ორნაირი პასუხისმგებლობა: კოლეგიალური და ინდივიდუალური. მთავრობა საერთო პოლიტიკისათვის პასუხს აგებს პარლამენტის წინაშე. ამავე დროს იგი პასუხს აგებს ამა თუ იმ მინისტრის მოქმედებისთვის, უკეთუ ეს მოქმედება საერთო პოლიტიკიდან გამომდინარეობს. თვითეული მინისტრი ინდივიდუალურათ პასუხს აგებს ისეთი მოქმედებისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი პირადი ნების ყოფით და ინიციატივით, და საერთო პოლიტიკიდან არ გამომდინარეობს. დადიანის შიში, თითქოს ასეთი პასუხისმგებლობის დროს მთავრობა აიცდენს კოლეგიურ პასუხისმგებლობას,—უსაფუძვლოა. პარლამენტი სწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ მინისტრის ესა თუ ის ნაბიჯი რა ხასიათისაა და საიდან გამომდინარეობს.

ი. ნუცუბიძის სიტყვა.

ორატორი აღნიშნავს, რომ კონსტიტუცია უნდა იყოს აშენებული სინამდვილეზე; მაგრამ მას უნდა ჰქონდეს პერსპექტივებიც. ეს ორი ცნება: სინამდვილე და პერსპექტივები ჰარმონიულად უნდა იყოს შეკავშირებული. ჩვენში, სამწუხაროდ, კონსტიტუციის გარჩევას საკმაო ხალხი არ ესწრება, ხშირად ქანდარები სულ ცარიელია (ვ. ჯუღელი: რომ სცოდნოდათ დღეს, რომ თქვენ ილაპარაკებდით,—მაშინ არც ამდენი ხალხი მოვიდოდა. სიცილი). კონსტიტუციით მთელი ხალხი უნდა იყოს დაინტერესებული და მას მეტად ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულია და ამიტომ ჩვენი კონსტიტუციაც განსაკუთრებული უნდა იყოს. კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი კონსტიტუციისა არაფრით განსხვავდება ბურჟუაზიულ ქვეყნების კონსტიტუციებისაგან. (საყვარელიძე: შვეიცარიაში როგორი რესპუბლიკაა?) შვეიცარიის რესპუბლიკა ბურჟუაზიულია (სიცილი). დიახ ბურჟუაზიულია. აქ წარმოდგენილი პროექტიც ბურჟუაზიულია და არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ მდგომარეობას. აქ (ხელში უჭირავს საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული და მიღებული პროექტი) ყველაფერი ძველებურადაა: მთავრობის თავმჯდომარე, სენატი, სასამართლო და სხვ. (სიცილი!). აი ამ თავში (სასამართლოს ეხება; ვიღაცა ადგილიდან: მაგ თავში?)... დიახ. ამ თავში არაფერი არ არის (ხანგრძლივი სიცილი.) ჩვენ მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციაში კი დაცულია შრომის პრინციპი (ვ. თევზაია: რას ნიშნავს ეს?)

ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ მოქალაქეს აქვს შრომის უფლება (მთელი დარბაზი ხანგრძლივად იცინის. როცა ცოტა სიწყნარე ჩამოვარდება, ბ. თევზაია ადგილიდან ამბობს: ეს პრინციპი ახალი არ არის, ეს წინეთაც იყო წამოყენებული). ეს პრინციპი 48 წლის კონსტიტუციაში მეტად მკრთალად შევიდა. მაგრამ ჩვენს კონსტიტუციაში ამ პრინციპთან ერთად არის სავალდებულო შრომის პრინციპიც. მესამე პრინციპი, რომელიც გატარებულია ჩვენს კონსტიტუციაში, არის ის, რომ სახელმწიფო უნდა დაადგეს ფართო კოლექტივიზაციის გზას. ეს ქმნის ძალთა ეკონომიას. გარდა ამისა ჩვენი უაღრესი და გარდუვალი სურვილია, რომ ჩვენი ერი თავისი თავისებურობით, საკუთარი სახით შევიდეს საერთაშორისო ოჯახში. ერის თვალი არის ხელოვნება, კულტურა, ინტელიგენცია, მოზარდი თაობა, ამას მიაქცია ყურადღება ჩვენმა ფრაქციამ და ჩვენი კონსტიტუციის ძალით ყველა ნიჭიერი და ღირსეული ხელოვანი, მეცნიერი სახელმწიფომ უნდა უზრუნველჰყოს.

დასასრულ ორატორი ამბობს: თქვენ არ მიიღებთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციას, მაგრამ გავა დრო და ხალხი ამ კონსტიტუციას მიიღებს (კიდევ სიცილი). შემდეგ ორატორი კითხულობს სოც. რევოლიუციონერების მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტს. ესერების პროექტით რესპუბლიკას უნდა ეწოდოს: შრომის რესპუბლიკა, პარლამენტს—სახალხო საბჭო, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველას, ვისაც 18 წელი შესრულებია. სწავლება დაბალ და უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებში სავალდებულო და უფასო უნდა იყოს, ექიმობაც უფასო უნდა იყოს (ვიღაცა ადგილიდან: „ყველაფერი უფასოდ სჯობია“). გაფურჩქვნა ერის პროგრესიული ელემენტებისა (საყვარელიძე: სიტყვა „გაფურჩქვნა“ თქვენს პროექტში სწერია?) დიაღ, სწერია. (ისევ სიცილი. ისმის ხმები. „გაფურჩქვნა“ არ არის საკონსტიტუციო სიტყვა).

წარმოებაში დაწესებულ უნდა იქნას მუშათა კონტროლი, ეროვნულ უმცირესობათ უნდა მიეცეს საჯარო უფლებები და სხვ.

ღალატი.

დროს უცდის ბნელი გარემოება
და მათ, ორივეს ეძებს ჯალათი;
შური სიყვარულს ვერ ეგუება,
ევიწროება თეთრი ხალათი,
და იმ კალთის ქვეშ ცოდვებს ატარებს
მოყვრული ზრუნვით წნული კალათი,—
ათში ერთს მაინც შემოგაპარებს,
ბრძენიც რომ იყო, თუნდა თვალ-ათი..
ჩემო ქვეყანავ! მიხედე, კარებს!
გარშემო ისევ სუნთქავს ღალატი!...

ისინი!..

და... ის არ არის ქარის სისინი,
ბუჩქების სტვენა, თუ მიწის მტვერი...
მოსვლას რჩეობენ ჩვენზედ ისინი,
მუქარის გულით მოიღვწის მტერი,
რომ ჩვენს მიწას და თავისუფლებას
გადაენთხიოს სისხლის ლეშტერი!

16 დეკემბერი.

ვ. ტუქხიშვილი.

ახალი ამბავი

1918 წელს, 19 დეკემბერს ეკატერინფელდთან ბრძოლის ველზე გმირულ, თავგანწირულ ბრძოლაში დაიღუპენ თფილისის ძველი რევოლიუციონერი მუშები—სახალხო გვარდიელები. ორი წლისთავის აღსანიშნავად კვირას, 19 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე ძმათა სასაფლაოზე შეიკრიბებიან ამხანაგები.

◆ **უკრაინიდან გადმოსახლებულ მენშევიკების ჩამოსვლა თფილისში.** 16 დეკემბერს თფილისში ჩამოვიდა უკრაინიდან ბოლშევიკების მიერ გამოძევებული მენშევიკების ერთი ჯგუფი. ამათგან 14 კაცი გადასახლებულია „ტუპჩეზოკომის“—უკრაინის „ჩრეზვიჩაიკის“ ცენტრალური კომიტეტის სამოსამართლო „ტროიკის“ ხარკოვში გამოტანილი დადგენილებით 8 კაცი—„ტროიკის“ განკარგულებით მათი საქმის გარჩევა მომხდარა პოლტავაში. 3 კაცი—კრემენჩუგის რევოლიუციონურ ტრიბუნალის დადგენილებით სულ გადმოსახლებულია 26 კაცი, ოჯახობით 47 სული, ამათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს ამ დღეებში დავბეჭდავთ.

◆ **მუშათა მაგიდა აცხადებს,** რომ იგი მეორეჯერ არიგებს 10 გირვანქა კარტოფილს სულზე. ფუთს—800 მანეთად. ვისაც სურს კარტოფილის მიღება, მოთხოვნილებანი უნდა გამოგზავნონ სამი დღის განმავლობაში, რადგანაც დარჩენილი კარტოფილი, რომ არ გაფუჭდეს, სამი დღის შემდეგ გადაეგზავნება რესპუბლიკის სხვა მუშათა მაგიდებს. ამ ხნის შემდეგ არც ერთ ჯგუფისა და დაწესებულების წარმომადგენლებს უფლება არ ექნებათ პრეტენზია განაცხადონ, რომ მათ მუშათა მაგიდიდან კარტოფილი არ მიუღიათ.

◆ **ქ-ნ მონტესორის საბავშვო ბაღში** დღეს შაბათს, 18 დეკემბერს საღ. 5 საათზე (ბებუთოვის ქ. 54) დანიშნულია მშობელთა კრება. 1) ბ-ნ გ. ვ. კონიაშვილის მოხსენება: „საბავშვო ბაღის მნიშვნელობა“. 2) ქ-ნ თ. ნ. ერისთავის მოხსენება: მონტესორის საბავშვო ბაღი. 3) მიმდინარე საკითხები. მშობლებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ კრებას, ყველა მსურველთათვის შესვლა თავისუფალია.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში** დღეს იმეორებენ მხიარულ კომედიას „ალლუმს“. პიესას რეჟისორობს ქ. ანდრონიკაშვილი. სამშაბათს, მეოთხედ წარმოდგენილი იქნება „ბერდო-ზმანია“.

◆ **ლ. მესხიშვილის ქანდაკება.** ახალგაზრდა მოქანდაკე მარ. არაყიშვილმა გამოაქანდაკა გარდაცვალებულ ლადო მესხიშვილის ბარელეფი, რომელიც დიდათ წააგავს განსვენებულს და ახლო მომავალში გამოვა გასაყიდათ. დაინტერესებულთ შეუძლიათ ნახვა რუტიშევის ქუჩაზე № 22, ექიმ ოქროპირიძის ბინაზე, ყოველდღე 12—2 საათამდე.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** საორგანიზაციო კომისია აცნობებს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ლექტორებს, ასისტენტებს და სხვებს, რომ შაბათს, 18 დეკემბერს, მე-8 აუდიტორიაში, საღამოს 7 ს. დანიშნულია მესამე და უკანასკნელი საერთო კრება სანოვაგის საქმის მოგვარების შესახებ.

◆ **თფილისის მაზრის მილიციის** სამმართველო 15 ამა დეკემბერს პლეხანოვის ქ. ს. № 171 გადავიდა რუსთაველის პროსპექტზე მაზრის ერობის შენობაში. შესავალი—გიმნაზიის ქუჩიდან, ყოფილი სასტუმრო, „უნივერსალის“ კარებიდან, სართული მეორე.

◆ **თანამედროვე ახალგაზრდათა გასამართლება.** თფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის 1 კურსის სტუდენტობა კვირას, 19 დეკემბერს დილის, 11 ნახ. საათზე თფილისის „კრუჟოკი“-ს შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 10), მართავს თანამედროვე ახალგაზრდობის გასამართლებას. მონაწილეობას მიიღებენ პროფესორები, მოწაფეები, სტუდენტები, პედაგოგები და მშობელთა წარმომადგენელნი. ბილეთები იყიდება კანცელიარიაში. რუსთაველის პრ. № 19.

◆ **აკ. პაპავას მოთხრობები.** „საქართველოს სახელოვნო ცენტრი“ უკვე შეუდგა აკაკი პაპავას მოთხრობათა კრებულის პირველი წიგნის „სოლეილ-დორის“ ბეჭდვას. წიგნი შეიცავს 200 გვერდს და აუცილებლად გამოვა საახალწლოდ. ყდა მხატვარ შარლემანისა·

◆ **სახალხო გვარდიელის სახლში,** კარლ კაუცკის სახელობაზე, შაბათს, 18-ს დეკემბერს უფასოთ და კვირას, 19 დეკემბერს ფასით წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის პიესა „გაცეძი“.

◆ **ქ. გამსახურდიას მოხსენება.** კვირას, დეკემბრის 19, დღის 12 საათზე სახელმწიფო დრამის სამუსიკო დარბაზში ქ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას „თანამედროვე გერმანიის პოლიტიკისა და კულტურის პრობლემები. ბილეთები კასსაში. დარბაზი გამთბარი იქნება.

◆ **ჟურნალი „აისი“.** რედაქციამ მიიღო სამხ.-სალიტ. ჟურნალი „აისი“ № 2-რი ლ. მაჭავარიანის რედაქტორობით გამოცემული. ჟურნალში მოთავსებულია ლექსები: გ. ტაბიძის, ლ. მაჭავარიანის, რ. გვეტაძის, გრ. ცეცხლაძის, შ. კარმელის, ვ. გორგაძის, კ. ჭიჭინაძის, ს. ლორდელის, გრ. ზიდელის. მინიატურა აკ. ბერეკაშვილის. ჟურნალი ლამაზათ არის გამოცემული და ღირს 100 მანეთი.

კრებები.

შაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სხდომა.

— 18 დეკემბერს, საღამოს 5 ს. შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. სომხური სექციის არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

უსახსრობა?!..

საბჭოთა მისიის ჩამოსვლისთანავე თფილისში ჩვეულებრივად დაფაცურდნენ კომუნისტები და მისიასთან მოაწყვეს პრეს-ბიურო, რომლის ბიულეტენებს თფილისის სხვა გაზეთებთან ერთად აწვდიდნენ უსასყიდლოთ „ერთობა“—„ბორბასაც“.

პირობათ დაგვიდეს შემდეგი: მათი ბიულეტენის ცნობას სათაურად უნდა ჰქონოდა უეჭველად—„საქართ. არს. რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის“ და სხ. ფირმა, რომ ცნობას ჰქონოდა იგივე სათაური, რომელიც ბიულეტენში იყო და რომ ესა თუ ის ცნობა უცვლელად დაბეჭდილიყო. თუ ამ პირობებს შევასრულებდით, შეგვეძლო ბიულეტენიდან ამოგვეღო იმდენი ცნობა, რამდენსაც ჩვენ დავინახავდით საჭიროდ.

დავიწყეთ „პრეს-ბიუროს“ ცნობის მიღება, მაგრამ ჩვეულებრივათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოგვაყარეს აუარებელი წმინდა კომუნისტური ყალიბის ამბები—ზოგი ადგილობრივი ზოგიც რადიოთი მიღებული.

ერთი სიტყვით, ბიულეტენით ბ.ბ. კომუნისტებმა გააჩაღეს ჩვეულებრივი ბოლშევიკური აგიტაცია—პროპაგანდა.

ჩვენც, რომლებიც კარგათ ვიცნობთ კომუნისტების ინფორმაციას, შერჩევით დავუწყეთ ცნობებს ამოკრეფა მათი ბიულეტენიდან. ზოგიერთ ცნობებს ჩვენი სარედაქციო შენიშვნაც მივაყოლეთ, რის უფლება პირობის ძალით გვქონდა.

არ ესიამოვნა ეს, რა თქმა უნდა, „პრეს-ბიუროს“ გამგეს და დაგვიწყო ისეთი ცუდათ დაბეჭდილი ბიულეტენის გზავნა, რომლის წაკითხვა შეუძლებელი ხდებოდა. სიტყვიერად ვსთხოვეთ, რომ კარგათ დაბეჭდილი ბიულეტენი გამოეგზავნათ, ზოგიერთ ცნობას შენიშვნაც გავუკეთეთ, რომ „ვერ გავარჩიეთო“ და სხ.

ჩვენმა ამგვარმა მოქმედებამ საბოლოოდ გამოიყვანა მოთმინებიდან ბატონი „პრეს-ბიუროს“ გამგე და 14 დეკემბრის თარიღით № 212) ასეთი წერილი მოგვწერა: „ვინაიდან ქაღალდი გაძვირდა და „თფილისის“ ბიულეტენის გამოსაცემმა ხარჯებმაც იმატა, ჩვენ იძულებულნი ვართ შეგიწყვიტოთ თქვენ ბიულეტენის გზავნა, მით უმეტეს, რომ თქვენი გაზეთი ამ ბიულეტენით თითქმის არ სარგებლობს. რაც შეეხება თქვენს განცხადებას გაზეთის ფურცლებზე პრეს-ბიუროს ბიულეტენს ვერ ვარჩევთო, გაუწყებთ, რომ ვინაიდან საქართველოში არ მოიპოვება აუცილებელი ტეხნიკური საშვალებანი, ჩვენ არ შეგვიძლია უკეთესად დავბეჭდოთ ბიულეტენები.“

ასე რომ, ქაღალდიც გაძვირებულა, გამოსაცემ ხარჯებსაც უმატნია, საქართველოში თურმე არ მოიპოვება „ტეხნიკური საშვალებანი“ და სხ.

რა თქმა უნდა, ვინც საქმის ვითარებასთან გაცნობილია, ამგვარი საბუთები სასაცილოდაც კი არ ეყოფა.

აბა, რა აუარებელი ქაღალდი დაჭირდება ერთი ცალი ბიულეტენის დაბეჭდვას, ან რა ხარჯებს გამოიწვევს მისი გამოცემა, რომ საბჭოთა მისიამ ის ვერ შესძლოს. განა ამ საქმეში დაიწყო ამ ხელგაშლილმა ხალხმა მომჭირნეობა?

ან რა ტეხნიკურ საშვალებებზეა აქ ლაპარაკი? ერთი რემინგტონი თავისი ლენტით და საღებავით აღარ იშოვება საქართველოში?

მაგრამ არა,—ეს არ არის მიზეზი.

საბჭოთა მისიამ მოიტანა ჩვენში საკუთარი რადიო-სადგური და ჩვენი მთავრობის ნებართვით დაიდგა აქ, თფილისში.

მოიყვანა საკუთარი რადიოს, ტელეგრაფის და სხ. მოხელენი.

მოიტანა ავტომობილები.

მოიყვანა შოფერების მთელი შტატი.

მოზიდა თავის საჭიროებისათვის ბენზინი.

მოიყვანა საკუთარი „სავბარები“ (საბჭოთა ბარიშნები), მატროსები და სხ...

და რაღა ერთი რემინგტონი ვერ მოიტანა—თუ ის აქ არ იშოვებოდა...

მაგრამ ეს არ არის დაბრკოლება. ყველაფრიდან სჩანს, რომ პრეს ბიუროს გამგე ნერვიანობს, კაპრიზობს...

საბუთიც აქვს. ჩვენ ვცხრილავთ მის ცნობებს: ყველანი ჭეშმარიტებათ არ მიგვაჩნია.

ამიტომ ეჯავრება ჩვენი გაზეთი ბატონ გამგეს.

ცოდვა გამხელილი სჯობია: არც ჩვენ გვიყვარს კომუნისტური ბიულეტენი და მისი შეწყვეტის გამო თამამად შეგვეძლო გვეთქვა: არაფერია, უამისობას მოვითმენთ.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მაინც ვიტყვით;

უბრალო რიგიანობა მოითხოვდა საბჭოთა მისიას არ მიესპო მხოლოდ „ერთობა“-„ბორბისათვის“ თავისი ბიულეტენი, მაგრამ რიგიანობაც რომ არ მოვთხოვოთ პრეს-ბიუროს გამგეს, უნდა ახსოვდეს მას შემდეგი: „ნავში ჯდომა და მენავესთან ბრძოლა არ შეიძლება“...

თანამშრომელი.

იოსებ ყაჭიეშვილი

ხაშურიდან სამწუხარო ცნობა მივიღეთ.

ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ, სურამის საავათმყოფოში გარდაიცვალა ამხ. იოსებ ყაჭიეშვილი.

ამხ. იოსები პარტიის ძველი მუშაკი იყო.

ის აღიზარდა მუშათა წრეებში და პატარაობიდანვე სოც.-დემ. ორგანიზაციაში მუშაობდა.

რეაქციის ხანაში მას ახასიათებდა სიმტკიცე, გამბედაობა, ენერგია. მან მთელი თავისი ძალა შესწირა პარტიას, ის იყო დაუშრეტელი წყარო საქმიანობისა...

მუშაობდა ზემო გურიაში, ფოთში, ხაშურში, თფილისში დიდ რევოლიუციამდე.

დიდი რევოლიუციის შემდეგ ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ერევნისაკენ გაგზავნილ ჯავშნიან მატარებლის რაზმში.

შემდეგ ის იყო პროპაგანდისტი მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის საპროპაგანდო სექციისა და ეწეოდა პროპაგანდა-აგიტაციას ქართლ-კახეთის სოფლებში...

1918 წელს ზაფხულში ის გაგზავნილი იყო თიანეთის მაზრაში სამუშაოდ. მან შემოიარა დიდი ნაწილი ამ მაზრისა.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ანარქია მძვინვარებდა და იზრდებოდა...

დუშეთში კი ბოლშევიკური არეულობა იყო. დუშეთის არეულობამ მოხეტიალე აგენტების მოქმედებამ თიანეთის ზოგიერთ სოფლებში გამოხმაურება ჰპოვა.

სოფ. სვიმონიანთ-ხევში ამხ. იოსები ბრბომ ხეზე აკრა და წამება მოუნდომა.

იქ ის შემთხვევით გადარჩა...

თიანეთიდან დაბრუნების შემდეგ დროებით თფილისში დარჩა სამუშაოდ.

შემდეგ 1918 წლის მიწურულში ცეკას მიერ გაგზავნილ იქნა ახალციხის მაზრაში სამუშაოდ.

მესხეთის ამ ნაწილში მაშინ ცუდი მდგომარეობა იყო. ოსმალეთის ჯარის გასვლიდანვე იქ საქართველოს საწინააღმდეგოთ აჯანყებას ამზადებდენ სერვერ-ბეგის აგენტები.

პირობები იყო მძიმე...

მუშაობა ძნელი...

ხალხი გამოურკვეველი...

გაგზავნილ ამხანაგებთან ერთად იოსებ ყაჭიეშვილმა ბევრი შრომა, ტანჯვა აიტანა. სამაგიეროთ შესძლო საქმის გაკეთება.

მოაწყვეს მესხეთის ნაწილის გლეხთა საბჭო, რომლის ირგვლივ თავი მოიყარა მშრომელმა ხალხმა. მისი საშუალებით გამტკიცდა ნდობა ჩვენი დემოკრატიულ წყობილებისა ხალხში, დაარსეს ყოველკვირეული თათრულ-ქართული გაზეთი „განახლებული მესხეთი“, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი ხალხის გამოფხიზლებას.

მოაწყვეს ს. დ. მ. პ. ორგანიზაცია და ეს დაწყებული მუშაობა სერვერბეგის არეულობის ჩაქრობის შემდეგ თანდათან გაფართოვდა.

1919 წელს მოაწყვეს სახალხო გვარდია. ჩაატარეს დამფუძნებელი კრების და ერობის არჩევნები.

ყველა ამას ხელმძღვანელობდა გლეხთა საბჭო, რომლის ორგანიზატორი, ხელმძღვანელი იყო იოსები.

იოსებმა თითქმის ახალციხის მაზრის ყველა სოფლებში იმუშავა. ხალხს ის ძალიან შეუყვარდა.

ფუცხოვის საკითხი იოსების საქმიანობასთან არის დაკავშირებული...

ახალციხის განახლებული მოძრაობა, მისი ახალი ისტორია, ჩვენი ნდობის განმტკიცება შეასრულეს რამოდენიმე ამხანაგების თავგანწირულმა მუშაობამ და ამ მხრით პირველი იყო იოსები... მას დიდი ღვაწლი მიუძღვის..

მან ამ მოძრაობას შესწირა თავისი ჯანმრთელობა, ენერგია და ამ თავგანწირულმა ბრძოლამ ნაყოფიც გამოიღო...

ამიტომ დატოვა, მან თავისი ძვირფასი მოგონება ახალციხის მაზრაში...

1920 წლის დასაწყისში, როცა გლეხთა საბჭომ გზა დაუთმო ერობას, ი. ყაჭიეშვილი დაბრუნდა თფილისში და. ბორჩალოს მაზრაში დაიწყო მუშაობა

ბორჩალოში მან ვეღარ აიტანა შრომა. ხანგრძლივ მუშაობისაგან დაღლილი დაეცა.

რამოდენიმე თვე იტანჯა, ეწამა, დადნა...

და ბოლოს განუტევა ტანჯული სული..

ბრძოლაში გაატარა თვისი ახალგაზრდობა, დაბოლოს ყრუდ, მარტოთ საავათმყოფოში გამოეთხოვა წუთი სოფელს.

ცხოვრებამ არ აცალა თავისი დროჟამის დამთავრება ამ სოფლად.

კიდევ ბევრი ენერგია წაიღო თან და დიდი იმედები...

ხანმოკლეთ იცხოვრა, მაგრამ ბევრი გააკეთა...

ხანმოკლე ცხოვრების გზაზე, მან ხანგრძლივი ტანჯვა აიტანა..

დრო მოვა...

გაივლის უბედური ყოფნა, შფოთი... სისხლის ნიაღვარი და მომავალი დააფასებს მებრძოლთ.

მისაბაძი იყოს ჩვენთვის ამხ. იოსების საქმე...

ჩვენ ვიგონებთ, იმ ტანჯულ დროს, რომელიც მასთან ერთად გაგვივლია...

ჩვენ და ჩვენს დროს მოიგონებენ სხვები... ანანია.

17 დეკ. 1920 წ.

თავდაცვისათვის

ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიმართა სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით განუმარტონ სასწავლებლებს მნიშვნელობა „ფრონტის შრომის დღეებისა“, რომლებიც დეკემბრის 25-სა და 26 იმართება. თავის თხოვნაში კომიტეტი გამოსთქვამს სურვილს, რათა სახალხო განათლების მინისტრმა იმართოს მოწაფეებს მოწოდებით ამ დღეებში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ.

ასეთივე თხოვნით ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიმართა პროფესიონალურ კავშირებს და ქალაქის სკოლების გამგეებს.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მ. ჟურულიანმა შრომის ბეგარის საკითხის მომწესრიგებელ კომისიაში აღძრა შუამდგომლობა მის განკარგულებაში შრომის ბეგარის სახით გაწვეულთა გადაცემის შესახებ. შუამდგომლობა დასაბუთებულია მით, რომ კომიტეტს ეჭირვება მუშა ხელი.

—

პატივცემულო რედაქტორო! გთხოვთ მიიღოთ ხუთასი ათასი მანეთი, რომლიდანაც 300,000 მანეთი ჩარიცხოთ პარტიული ფონდისათვის, ხოლო ორასი ათასი მანეთი ფრონტისათვის. *)

აბესალომ ბუკია.

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტი. საბჭოთა რუსეთის 1920 წ. ბიუჯეტი ასეთია: გასავალი უდრის 1.150 მილიარდ მანეთს, შემოსავალი—150 მილიარდ მან.; დეფიციტის დაფარვა განზრახულია ახალი ქაღალდის ფულის მოჭრით.

პოლონეთი ბევრს მოითხოვს. სტეკლოვი „იზვესტიაში“ ეხება პოლონეთ რუსეთის საზავო მოლაპარაკებას. სტეკლოვის თქმით საბჭ. რუსეთმა ბევრი დაუთმო პოლონეთს. ის სწერს: „საბჭოთა რუსეთს კარგათ ესმის და პირდაპირაც აცხადებს, რომ პოლონეთთან ზავის შეკვრით ის ისეთ რამესა სთმობს, რომლითაც დიდ ზარალს აყენებს რუსეთს. მაგრამ პოლონეთი არ კმაყოფილდება. ის მოითხოვს ყველა იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მან ომის დროს ნახა. შემდეგ სტეკლოვი სწერს: „ის დათმობანი, რომელზედაც თანხმდება საბჭოთა რუსეთი, განისაზღვრება გონიერების და საბჭოთა რუსეთის განკარგულებაში მყოფ რესურსებით. პოლონეთის მოთხოვნილებანი კი სცილდებიან ამ ფარგლებს. პოლონეთი მოითხოვს 300 მილიონ მანეთს ოქროთი, რომელიც თითქოს მას წილს შეადგენს ყოფილ რუსეთის იმპერიის ფონდში. პოლონეთი მოითხოვს აგრეთვე ყველა იმ ქონების უკან დაბრუნებას, რომელიც გადატანილი იყო პოლონეთიდან 1914 წლიდან. ამ ქონების ღირებულება ოქროთი უდრის 1 მილიარდ მანეთს“.

„ასეთ მსხვერპლის მოტანას რუსეთის მხრით არ შეუძლია ამის შესრულება. ეს მსხვერპლი გააუქმებდა თვით იმ მოსაზრებებს, რომელთა გამოც საბჭოთა რესპუბლიკამ განაცხადა თანხმობა ზოგიერთ დათმობაზე. მართლაც, თუ ის შეასრულებდა პოლონეთის გადამეტებულ მოთხოვნილებებს, საბჭოთა რუსეთი ამოსწურავდა ყველა თავის შესაძლებლობას. ამიტომ რუსეთს შეუძლებლათ მიაჩნია ასეთი დათმობა.

რკინის გზელების ბინებიდან განდევნა. უკანასკნელ ხანებში გახშირდა ბინებიდან განდევნა რკინის გზელ მუშების ოჯახებისა საგანგებო საბინაო კომისიის მიერ; ამიტომ გროზნოს რაიონის რკინის გზების უფროსმა თხოვნით მიმართა „ისპოლკომს“, რათა ბინებიდან განდევნას ბოლო მოეღოს; წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ შეუძლია პასუხი აგოს ტროცკის ბრძანებისა,—№ 1042 სისრულეში მოყვანაში. (გროზნოს „იზვ.“, № 194).

სასურსათო კომპანია. სტავროპოლის გაზ. „ვლასტ სოვეტოვ“-ში მოთავსებულია ს. პსკოვსკის წერილი სასურსათო კამპანიის შესახებ, რომელშიაც იგი, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს: „სასურსათო ფრონტზე ჩვენი ბრძოლა ორ მიზანს ისახავს: ტრანსპორტის აღდგენა და ძირითად სასურსათო ფონდის შექმნა. ავტორი აღნიშნავს, რომ თუ პირველი საქმე ასე თუ ისე კეთდება,—მეორე მხრივ არ არის მიღწეული სულ მცირედიც კი. ავტორი შემდეგ აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა გუბერნიებისათვის ჩრდილო კავკასიის პურს და ამბობს: „იმის გამო, რომ რუსეთის ცენტრალურ რაიონებში დიდი მოუსავლობაა, ჩრდილო კავკასიის პურს სასურსათო მუშაობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ჩრდილო კავკასიის მუშაკებმა ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს, რომ პურის აღწერა უსათუოდ გატარებული უნდა იქნეს. რათაც უნდა დაჯდეს ეს. რათაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა მივცეთ პური ცენტრს.“ („ვლ. სოვ.“ № 210).

რომელია „შკურნიკები“? კავკავის „კომუნისტ“-ში მოთავსებულია მუშების მიერ ხელმოწერილი შემდეგი შინაარსის წერილი რედაქციის მიმართ: როდესაც გაზ. „კრასნი ბოეც“ გამოვიდა, სწერს ავტორი,—გაზეთის რედაქტორმა აღგვითქვა, რომ ზედმეტი მუშაობისათვის ჩვენ მივიღებდით წითელ არმიელის ულუფას. ამით ჩვენ ვფიქრობდით, რომ ცოტათი მაინც გავიუმჯობესებდით

---

*) ფული რედაქციამ მიიღო.

მდგომარეობას მაშინ, როდესაც მუშის კვების საქმე მრავალ მიზეზების გამო საშინლათ არეულ-დარეულია და 12 საათის მუშაობის შემდეგ მუშები ძლივს დავდივართ ფეხზე. შემდეგ მუშები ეხებიან ფუქსის წერილს, რომელიც მათ დასახელებულ მოთხოვნილებისათვის „შკურნიკებს“ უწოდებს და მისი საყურადღებოთ აცხადებენ: ამხ. ფუქსმა, რომელიც თვითონ ხედავდა გაზეთის აწყობას, იცის, რომ ასოთამწყობი, რომელიც 12 საათის მუშაობის შემდეგ, კიდევ ზედმეტ მუშაობას ეწევა, დაღლილობისაგან ფეხზე ვერ დგებოდა, მაგრამ მაინც კეთილსინდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას,—აწყობდა ამხ. ფუქსის წერილს ისე, როგორც ეს მას ჰსურდა და ეს იმ დროს, როდესაც უკანასკნელი იქვე სტამბაში „სემიჩკას“ შეექცეოდა და ამ საქმეში გართული ივიწყებდა, რომ ასოთ-ამწყობი დილიდან მშიერი სდგას ფეხზე. ზედმეტ მუშაობის შეწყვეტა,—განაგრძობენ ავტორები,—სხვათა შორის, ამანაც გამოიწვია, რომ ამხ. ფუქსმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ მუშებს უფრო ლმობიერათ უნდა მოეპყრან, ვიდრე ეპყრობიან; მუშებმა 7—8 დღის მუშაობისათვის 4 დღ ს ულუფა მიიღეს და როდესაც მიმართეს ამხ. ფუქსს განმარტებისათვის,—უკანასკნელმა განაცხადა: „სასაცილო იქნებოდა, რომ მე წავსულიყავი და განმარტება მეთხოვა ვილაც კაპტენარმუსისათვის! თუ კი თქვენ არ გაკმაყოფილებთ ულუფა,—თქვენ შეგიძლიათ არ შეასრულოთ ზედმეტი მუშაობა; მე გამოვნახავ სხვა მუშებ ს თქვენ კი ჩემებურათ გაგისწორდებით“! დასასრულ მუშები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ისეთ გამოთქმების წინააღმდეგ, როგორიც არის „შკურნიკი“, რომლის მსგავსებიც, მათის აზრით, სხვაგან უნდა ეძებონ და არა პროლეტართა შორის; ისინი მოითხოვენ წითელ მბეჭდავთ კავშირის გამგეობისაგან ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. ხელს აწერს 8 მუშა. (№ 194).

სახალხო გვარდიის დღესასწაული

(მილოცვები)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა სამი წლის თავის დღესასწაულის გამო შემდეგი მისალოცი დეპეშები მიიღო:

ფრონტიდან.

გილოცავთ სახალ. გვარდიის ბრწყინვალე დღეს; რთულ და საპასუხისმგებლო წუთს ჩვენი სამშობლო მთელ თავის ყურადღებას მიაპყრობს თავის გმირებს, მის დამცველებს—სახალხო გვარდიასა და ჯარს. სახალხო გვარდიის დიდებულ დღეს ჩვენ ფიცსა ვ დებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენს რესპუბლიკას და სამშობლოს, ჩვენ გავიმარჯვებთ.

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას და ჯარს!

გენ. ოდიშელიძე, გენ. იასებ გედევანიშვილი, გენ. სუმბათოვი, ალექსანდრე ოდიშელიძე.

—

მესამე წლის თავი აშკარად ამტკიცებს, თუ რა რიგ იზრდება ჩვენი რესპუბლიკის ძალა—სახალხო გვარდია მთავარ შტაბის ხელმძღვანელობის ქვეშ. ის არა ერთხელ დაამტკიცებს კიდევ, თუ როგორ ასრულებენ საუკეთესო მოქალაქენი თავიანთ ვ ლს თავის ხალხის წინაშე. გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი სურვილები და რწმენა, რომ, როგორც წარსულში, ისე მომავალშიაც გვარდიელები ბრწყინვალეთ გაიმარჯვებენ.

ჯაჯანია.

—

სახელოვან სახალხო გვარდიის სამი წლის თავს თქვენთან ერთად ზეიმობს და დღესასწაულობს მესამე ქვეითა ბრიგადა მთელი შემადგენლობით. გისურვებთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ ბედნიერებას და მტერზე გამარჯვებას. ვიმედოვნებთ, რომ როგორც დღემდე, ისე შემდეგაც ჩვენი სახელოვანი გვარდია განაგრძობს მტერთან მამაცურათ ბრძოლას და საშუალებას არ მისცემს ჩვენს მოსისხლე მტერს ბინძური ხელი წაუპოტინოს ჩვენს კოპწია სამშობლოს. იცოცხლოს ჩვენმა სიამაყემ ტურფა საქართველომ! გაუმარჯოს მის დამცველ ხალხის გულიდან ამონახეთქ სახალხო გვარდიას! გაუმარჯოს მის შვილებს! გაგიმარჯოს თქვენ, წინამძღოლნო! ჩვენ მზათა ვართ თქვენთან ერთად მსხვერპლათ შევეწიროთ ჩვენს პატარა საქართველოს!

გენ. წულუკიძე.

—

ოფიცრები და ცხენოსნები ჩემდამი რწმუნებულ დივიზიონისა თქვენის სახით ულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის დამცველ სახალხო გვარდიას მის ბრწყინვალე დღესასწაულს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახელოვანი გვარდია, როგორც ყოველთვის, იქნება დარაჯი ყველა ჩვენთაგანისთვის ძვირფას სამშობლოსი.

ჩვენ ყველანი ფიცს ვსდებთ, რომ მძიმე წუთს არ დავიშურებთ ჩვენს სიცოცხლეს და თქვენთან ერთად დავიცავთ საქართველოს სუვერენულ უფლებებს.

მუსულმანთა დივიზიონის პოლკოვნიკი **მაჩაბელი.**

—

მიღებულია კიდევ შემდეგი დეპეშები: გაზ. „ვოლნი გორეც“-ის რედაქციისაგან, ბორჯომის გვარდიის შტაბისაგ ნ, მანგლისის რაიონულ კრების თავმჯდომარე — ალიხანოვისგან, მეჯვრისხევის რაიონის სახალ. გვარდიელებისაგან, ხაშურის მიტინგის თავმჯდომარე—ბაბლიძისაგან, დიდი ჯიხაიშში შემდგარ მიტინგის თავმჯდომარე ჩიხლაძისაგან, თიანეთიდან მიტინგის თავმჯდომარე ნადიბაიძისაგან, ყაზბეგის რაიონულ შტაბისაგან, სიღნაღში შემდგარ მიტინგის თავმჯდომარე ჯორბენაძისაგან, ქუთაისის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისაგან, უდე-მესხეთიდან, გარე კახეთის გვარდიელებისგან, ლორის რაიონში მყოფ სახალხო გვარდიელებისგან, სიღნაღის თვითმართველობის გამგეობისგან, გუმისტის რაიონის სახ. გვარ. რწმუნებულისაგან, რესპუბლიკის ომებში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობისგან, სოხუმის პროფ კავშ. ცენტრო საბჭოსაგან, ალბულაღის ხმოსანთა ყრილობისაგან, მანგლისის რაიონის გარნიზონის უფროსი მაჩაბელისაგან, სიღნაღის საერობო გამგეობისაგან, სოხუმის სახ. გვარ. საოლქო შტაბისაგან, პოლკოვნიკ ქარციევაძისაგან, პირველ ათასეულის უფროს პოლკ. გეგელაშვილისაგან, თფილისის ბათალიონის უფროსისაგან, სამეგრელოს 1 ლ ბათალიონის დაველებით როგავასაგან, კავშირის რაზმისაგან, სახ. გვარ. საველე საინტენდანტოსგან, საველე შტაბის მოსამსახურეებისაგან, მესანგრეთა ბათალიონისაგან, სამეგრელოს მე 2 ბათალიონისაგან, ცხენოსანთა ლეგიონის დაველებით მაიორ საყვარელიძისაგ ნ.

სატარიფო პალატაში

სატარიფო პალატის მორიგ სხდომაზე, რომელიც შედგა 15 დეკემბერს, ერთხმად ცნობილ იქნა აუცილებლათ მუშა მოსამსახურეთა ერთდროულ დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა მანუფაქტურის, ფეხსაცმელების და სხვა პირველ საჭიროების საგნების მიცემით.

გამოითქვა სურვილი, რომ დასარიგებლათ განზრახული საქონლის შეძენა და დარიგება იყოს მხოლოდ მუშათა მაგიდის ხელში. თუ ეს შეუძლებელი იქნება, უნდა დაიხმარონ მუშათა კოოპერატივები და სხვა ანალოგიური ორგანიზაციები.

—

სატარიფო პალატამ დაამტკიცა ინსტრუქცია დაწესებულებებში და წარმოებებში პრემიალური სისტემის შემოღებისა.

—

მეტყევეთა კავშირმა პროტესტი განაცხადა სატარიფო პალატის დადგენილების წინააღმდეგ, რომლითაც ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების ფეხსაცმლების მკერავ ერთი წყვილი ჩექმების შეკერვაში ეძლევათ 2500 და 2200 მანეთი. თავის პროტესტს კავშირი ასაბუთებს იმით, რომ ხსენებული ჩექმის მკერავნი უფრო ნაკლებ ხელფასს იღებენ, ვინემ კერძო ფეხსაცმლების სახელოსნოების მუშები.

პალატის თავმჯდომარემ განუმარტა კავშირს, რომ სამუშაო ხელფასის გადიდების შემდეგ აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების ჩექმების მკერავნი ვერ მიიღებენ მუშათა მაგიდიდან სურსათსანოვაგეს (ისინი, ვინც 15,000 მანეთზე მეტს ღებულობენ, გამორიცხული არიან სახელმწიფო ფონდიდან). ამ განმარტების შემდეგ მეტყევეთა კავშირმა მოხსნა თავისი პროტესტი იმ პირობით, რომ სახელოსნოში იქნება პრემიალური სისტემა.

რკინის გზაზე

13 დეკემბერს, კონდუკტორების აუდიტორიაში შესდგა სადგურ თფილისის ქვეკოლექტივში შემავალ პარტიულ წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენება მომენტზედ და მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზედ გააკეთა ამხ. ნ. რამიშვილმა.

მოხსენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და დასასრულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: სადგურ თფილისის ქვეკოლექტივში შემავალ წევრთა მრავალ-რიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნ. რამიშვილის მომენტზედ და იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადაუდგამს მთავრობას და მომავალშიაც აპირობს გადადგმას, იწონებს მას და აღუთქვამს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შინაურ და გარეშე მტრებისგან დასაცავათ არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება. № 1.

ს.-დ. პარტიაში

გორი. 21 ნოემბერს შესდგა გორის სამაზრო კომიტეტის მორიგი კრება. 18 სათემო ორგანიზაციიდან არ დაესწრო მხოლოთ სამი: ავლევიდან, კავთისხევიდან და სურამიდან.

კრებას დაესწრენ დამფუძნებელი კრების და საკონტროლო კომისიის წევრები ვასო ცაბაძე, კლიმიაშვილი და ეფრემიძე. დაესწრო აგრეთვე დამფ. კრების და ციკას წევრი ბადრიძე. იყვნენ სხვა. მოწინავე ამხანაგებიც. თავმჯდომარეობს იოსებ გაბუნია, მდივნობს ა. ქვათაძე. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) ბიუროს მუშაობა, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) კოოპერატივთა ყრილობის შესახებ, 5) ფრონტის კომიტეტები, 6) გვარდიის გორის საოლქო შტაბის არჩევნები, 7) „ახალი სხივის“ შესახებ. მიმდინარე კითხვები: ა) განცხადებანი, ბ) ოლქში მუშაობა, გ) ქვათაძის განცხადება. მომენტზე მოხსენებას აკეთებს ვახო ცაბაძე.

ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქვათაძე. ერთი თვის განმავლობაში ბიუროს მოუხდენია მხოლოდ ორი კრება. მიზეზი ამისა ის ყოფილა, რომ ბიუროს წევრთა დიდი ნაწილი დაბანდებული ყოფილა სხვა დიდ საქმეებზე, როგორიცაა სამაზრო ხმოსნების კრება და გვარდიის ყრილობა. მიუხედავათ ამისა ბიურომ ეს ორი კრებაც დიდი ნაყოფით გამოიყენა. ამ კრებაზე ბიუროს წევრებმა გაინაწილეს მთელი მაზრის ორგანიზაციები, სადაც ისინი ჩამოივლიდნენ, მოახდენდნენ რევიზიას, გამოარკვევდნენ ადგილობრივ ორგანიზაციების მდგომარეობას და მიიღებდნენ საერთო ზომებს ორგანიზაციული მუშაობის ნაკლის გამოსასწორებლათ, სადაც ეს საჭირო იქნებოდა. უმეტესობა ორგანიზაციებისა უკვე ჩამოიარეს და დანარჩენის ჩამოვლაც ახლო ხანში დამთავრდება.

შემდეგ მოხსენება დაიწყო ადგილებიდან.

კაპანაძე—ამბობს, რომ წინანდელთან შედარებით ბორჯომ ბაკურიანში პარტიული მუშაობა გამოკეთებულია. წევრთა რიცხვი მარტო ბაკურიანში 82 ია, ამათში 22 ქალი. სოფლებში თხოულობენ ორგანიზაციების მოწყობას, მხოლოდ მოუცლელობა აფერხებს. მასისათვის პოლიტიკური კურსი სრულებით გამორკვეულია, მხოლოთ მაინც საჭირო ხდება პროპაგანდა—ცოცხალი სიტყვა. საწევრო პროცენტების გადუხდელობა ხდება მიტომ, რომ შემოსავალი ადგილობრივ მოთხოვნილებასაც არ ჰყოფნის. დიდი გაუგებრობა შექმნა ხალხში იმ გარემოებამ, რომ დაატუსაღეს 48 ტყის მუშა და აგრეთვე იმანაც, რომ სამაზრო ერობა საჭირო საქმეს იჭერს კერძო პირებთან და თემებთან კავშირს გაურბისო.

ხუნდაძე. ხაშურის რაიონში მუშაკთა სიმცირის გამო ვერ ხერხდება პარტიული მუშაობის გაფართოვება. ესაა მიზეზი, რომ თემში მუშაობა ვერ მოხერხდა, მიუხედავათ მრავალ გზის დადგენილებისა. გაივლის ხელის შემშლელი პირობები თუ არა, მაშინვე შევუდგებით თემში საუბნო ორგანიზაციების მოწყობას. თემის მუშაობა ძლიერ აწეწილი იყო. წესრიგი შეიტანა ხმოსანთა ფრაქციის დაარსებამ, რომელიც დღემდე არ იყო. ქალაქში მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. მხოლოდ ხელს გვიშლის ზოგიერთ ამხანაგთა შორის კონფლიქტები. ვფიქრობთ საბოლოვო ლიკვიდაცია ვუყოთ ასეთ კონფლიქტებს, რისთვისაც ავირჩიეთ კომისია და ვნახოთ რით დამთავრდება. საჭიროა სამაზრო კომიტეტმაც მიაქციოს ყურადღება.

მეფარიშვილის მოხსენებიდან ირკვევა, რომ გომში პარტიის გავლენა ძლიერ გაიზარდა დემოკრატიაში. მუშაობა გამოცოცხლებულია, არ ქონდა ბიუროს ბინა და ეხლა კი ეს ნაკლიც მოუსპიათ. ამ მხარეში წინად ბოლშევიკობა ძლიერ მოდაში ყოფილა, ხოლო ეხლა მათი აღარავის არაფერი სწამთ. იდეიურათ გაკოტრებულ ბოლშევიკებს დაუწყვიათ ფქვილით სპეკულაცია, ზოგი მათგანი დაუჭერიათ კიდეც. პარტია ხელმძღვანელია ფრონტის დამხმარე კომიტეტის დაარსების საქმეშიაც.

მაღალაშვილი ამბობს, რომ მოუხდენიათ გაცხრილვა, რის შემდეგ დარჩენილა 145 წევრი. ორგანიზაცია არსებობს სკრაში, ხვედურეთში, ქარელში ყველგან მოისუსტებს. სოფლებში ჯერჯერობით ვერ ახერხებენ ორგ. დაარსებას იმიტომ, რომ ამას უნდა მოვლა, და ორგანიზატორი. ესენი კი არა ჰყავთ. შეეცდებიან შეძლებისდაგვარათ მუშაობის გამოცოცხლებას თუ მათ დაეხმარებიან პროპაგანდისტით.

მდივნიშვილის სიტყვიდან ირკვევა, რომ რუისში პროპაგანდისტის მისვლის შემდეგ გაჩაღებულა მუშაობა. დაუარსებიათ თანახმათ პროპაგანდისტის ჩვენებისა საუბნო ორგანიზაციები: ურბნისში, ტინისხიდში, თელოწმინდაში. ამათგან შესდგება სათემო ცენტრალური კოლექტივი. ხალხი უმთავრესათ ამ რაიონში წუწუნებს უგზობის გამო. პოლიტიკაში ყველა ერკვევა. თუ ზოგიერთი გარდუვალი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილეთ სხვაფრივ მდგომარეობის გადატანა ჩვენ შეგვიძლია. ყველასთან კარგ განწყობილებაში ვართ. პარტიის წევრი გვყავს 150. მდგომარეობა მტკიცეა.

ტატუნაშვილის მოხსენებიდან ირკვევა, რომ დირბში ორგანიზაციულ მუშაობას წინ წაუწევია. დაუარსებიათ საუბნო ორგანიზაციები წნელისში, წვერში და ლოლოეთში. მხოლოდ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს აკლიათ გამოცდილება, პარტიული ცოდნა და ამიტომ მათ გაკეთებულ საქმეს სჭირდება მეთვალყურე. საერთოდ რაიონში სიწყნარეა.

გოგიჩაშვილის მოხსენებიდან ირკვევა რომ ცხინვალში გაჩაღებულია პარტიული მუშაობა. ასუსტებს და ხელს უშლის მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავების ეკონომიურათ მოსუსტე პირების უფულობა. სულ 10 საუბნო ორგანიზაციაა დაარსებული. საწევრო გადასახადის საქმე მოწესრიგებულია. საუბნო ქვეკოლექტივების ჩამოყალიბება დასასრულს უხლოვდება. ოსების აჯანყების შემდეგ ბოლშევიზმი ისტორიას ჩაჰბარდა. პარტიის წევრთა რიცხვი 350-ია. თემთან მტკიცე კონტაქტია. მასსა პოლიტიკურათ გამოფხიზლებულია.

ქარელი ხარჯისას მოხსენებიდან ირკვევა, რომ ტყვიავში თვის განმავლობაში სულ ოთხი პარტიული კრება მოუწვევიათ. საუბნო ორგანიზაციების მოწყობა ადგილობრივი ძალებით უძნელდებათ, საჭიროა პროპაგ. დახმარება. თემთან, გვარდიასთან დამოკიდებულება კარგი აქვთ. მილიციასთან კი ვერ არიან რიგზე. სულ 80 წევრია. საერთოდ სიწყნარეა. საქართველოს თავისუფლებისათვის ყველა მზათაა გაიღოს მსხვერპლი.

ოქრუაშვილი გიორგის სიტყვიდან ირკვევა, რომ ყველა გეგმები და ცირკულიარები გაგზავნილი სამაზრო კომიტეტის მიერ უმეტეს ნაწილათ შესრულებულია. მსურველი პარტიაში შესვლისა ბევრი ყოფილა, აძლევენ სიებს და დიდის სიფრთხილით იღებენ მათ პარტიაში. საწევრო მთლათ გადახდილია. ორგანიზაციები სხვა პარტიებისა არ არის. გასაკეთებელი ბევრი ყოფილა და მუშაკები ცოტა.

მგრაბიშვილის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ხელთუბნის თემში არის სულ სამი საუბნო ცენტრები და სამივეში ყოფილა დაარსებული ორგანიზაციები. მხოლოდ მუშაობა ამ ორგანიზაციებში ძლიერ სუსტია ძალების უქონლობის გამო. არ კარგავს იმედს, რომ პარტიული მუშაობა გამოკეთდება. წევრთა მიღებას ეკიდებიან ფრთხილათ. სულ არის 10 წევრი. გვარდიელთა დიდი ნაწილი პარტიაში შედის. ბიუროს ბინის შოვნა უძნელდებათ შენობის უქონლობის გამო. მასსა უსაზღვრო ნდობით უყურებს ჩვენს პარტიას. მისი აზრით ყოველგვარი ახალი არჩევნები უზრუნველყოფილია.

ოქროპირიძის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ქვემოქალის დემოკრატია მთლათ პარტიის გავლენის ქვეშაა. ჩვენს პარტიას შეჰყურებს ქვემოქალის რაიონის გვარდიაც და დაძახებაზე გამოდის როგორც ერთი კაცი. თემი არის დაყოფილი შვიდ პარტიულ უბნათ. ყველა ორგანიზაციები შესდგება გლეხურ ელემენტებისაგან და მართალია, ის პროლეტარიატის საქმიანობას ჩამოუვარდება. მაგრამ ამათი მუშაობაც რაიონისათვის უდიდესი მნიშვნელობისაა. სხვა პარტიები არსად ჩანან. საწევროს გადახდა ფერხდებოდა, მაგრამ იმედოვნებს რომ გამოსწორდება ესეც.

(დასასრული იქნება).

პროვინცია

(დასასრული)

აგრარული რეფორმა ლეჩხუმის მაზრაში

6) ლეხვერ-ნაკურალეშის რაიონში მუშაობა დაიწყო 1919 წ. შედგა 14 მიღებითი აქტი, რომლითაც მიღებულია 98 დ. და 1938 კვ. საჟ. სახნავი მიწა. განაწილებულია 38 დ. და 627 კვ. საჟ. სახნავი მიწა. განაწილებულ მიწებიდან გამოსასყიდი ფული შესულია ხაზინაში 31481 მან. და 50 კაპ. დაკმაყოფილებულია 119 მცირე და უმიწწყლო კომლი. მოსალოდნელია მომავალში 40 დ. მიწის მიღება. მიღებულ და მისაღებ მიწებიდან მოსალოდნელია გამოსასყიდი ფული შევიდეს ხაზინაში 200,000 მან.

7) ლენტეხ ჩოლურ-ლაშხეთის რაიონში მუშაობა დაიწყო 1919 წ. და დამთავრდა მიწების კონფისკაცია 1920 წ. შედგა 8 მიღებითი აქტი, მიღებულია სულ სახნავ სათესი და ტყეები თავის საბალახოებით 78828 დ. და 395 კვ. საჟ. ამაში სახნავი მიწები გასანაწილებელი არის, მხოლოდ 1159 დ. ამ რაიონში მიწების კონფისკაცია დამთავრებულად ჩაითვლება. მიწების დარიგება ამ რაიონში არ დაწყებულა, ვინაიდან 4 მიწის მზომელის მეტი არ მუშაობდა მთელს მაზრაში. ამ რაიონიდან მოსალოდნელია გასანაწილებელ მიწებიდან გამოსასყიდი ფული შევიდეს ხაზინაში 1,159,000 მ.

ამ რიგათ მთელს მაზრაში განაწილებულ მიწებიდან შემოვიდა ხაზინაში 1,168,453 მანეთი.

ამ რიგათ მთელს მაზრაში გარდა ზემო-სვანეთისა, მიღებულია სახნავ-სათესი მიწა 4289 დ. და 2282 კვ. საჟ. მიწა.

გარდა ზემო სვანეთისა მისაღები მიწები უდრის 395 დ. განაწილებულია უმიწწყლო და მცირე მიწის მქონეზე 1377 დ. ამ მიწებით დაკმაყოფილებულია 1296 კომლი. დარიგებულ მიწებიდან შესულია ხაზინაში 1,168,453 მან. დასარიგებელია 2212 დ. და 1111 კვ. საჟ მიწა. მოსალოდნელია შევიდეს ხაზინაში 2,968,000 მანეთი.

ზემო სვანეთი დაყოფილია 2 სააგრარო რაიონებათ 1 სადადეშქელიანო სვანეთი და 2 თავისუფალი სვანეთი. ამ რაიონებიდან მოსალოდნელია მივიღოთ სადგილ მამულო ფონდში 342 დ. სახნავი მიწა. მოსალოდნელია შევიდეს ხაზინაში გამოსასყიდი მიწების ფასი 615,000 მანეთი.

ლეჩხუმის მაზრაში მიღებულია და გადარიცხულია სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდში 1918 წლიდან 1921 წლამდე სახნავი მიწები განაწილებულ და გასანაწილებელი სულ ზომით 3589 დ. და 2282 კვ. საჟ ვენახები 13 დ. 2300 კვ. საჟ. სამოსახლოები 14 დ., რომელიც არ ნაწილდება, არამედ იყიდება ადგილობრივ ბაზრის ფასების მიხედვით. შენობები დიდი და პატარა 25. წისქვილები 5. 2 ოთხ თვალიანი ერთი სამ თვალიანი და ორი ორთვალიანი. ქვის სატეხები 2 დ. ალიბასტრის მადნები 2 დ. და 98 კვ. საჟ. ბარიტის მადნები 3 დ. და 180 კვ. საჟ. აბანოები 2 თავის შენობებით—ლაჩხუთისა და ალპანის.

ლეჩხუმის მაზრაში მიწის რეფორმის დაჩქარებით გატარებას ხელი შეუშალა მიწის მზომლების საკმაო რიცხვის არ ყოლამ, რომელზედაც 4 მიწის მზომელს ხშირად უხდებოდათ ერთი რაიონიდან მეორეში გადასვლა, რომელიც ხელს უშლიდა რეფორმის სიჩქარით გატარებას, აგრეთვე პირველ ხანებში სარაიონო კომისიის წევრები უფრო ერთგულად და ენერგიულად ეკიდებოდენ და ხელს უწყობდენ რეფორმის სისწორით და სიჩქარით გატარებას ცხოვრებაში, მაგრამ ბოლო ხანებში გულ გრილობა გამოიჩინეს, ვინაიდან მათ არავითარი სასყიდელი შრომისა არ მიუღიათ და არც ღებულობენ. მომავალში, რომ დაჩქარებით და სისწორით გატარდეს აგრარული რეფორმა მაზრაში, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მიეცეს სარაიონო კომისიის წევრებს თუნდაც ერთდროულად შრომის ფასი.

საადგილ-მამულო განყოფილების გამგე **ი. ბურჯანიანი.**

წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი ამ ჩემ წერილს „ერთობის“ ფურცლებზე.

მკითხველებმა იციან, რომ მე „სორაპანის“ სტამბის პატრონს, ბ. გაჩეჩილაძეს მივეცი უფლება ჩემი რუსული წიგნი „Красная Книга“-ს თარგმნის და ქართულათ გამოცემისა. რადგანაც ბ. გაჩეჩილაძემ ეს მის მიერ ნაკისრი მოვალეობა არ შეასრულა და ჩემი წიგნის გამოსაცემად სამინისტროდან მიღებული ქაღალდის ბანკში დაგირავებით კაპიტალის შეძენა არჩია, მე იძულებული შევიქენი თვითონ გადამეთარგმნა და გამომეცა ჩემი წიგნი.

წიგნი გამოვა დაახლოებით ერთ თვეში და ეღირება დაახლოვებით 250—300 მანეთამდე.

მსურველთ შეუძლიათ დაიკვეთონ შემდეგის მისამართით: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი, ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბა.

ყარიბი.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ე. გორბუნოვი, ჩვენი დედამიწა პირველ დაწყებითი გეოგრაფია ბავშვათათვის, სურათებით, თარგმანი ელ. ჭიჭინაძისა, ქალაქთა კავშირის გამოცემა, 254 გვერდი, ფასი 220 მანეთი.

გორბუნოვის წიგნი ბუნებისმეტყველების პაწია ენციკლოპედიის წარმოადგენს, მდაბიო და გასაგები ენით დაწერილს. ქართული ლიტერატურა ღარიბია ხეირიანი სახელმძღვანელოებით და საბავშვო საკითხავი წიგნებით და გორბუნოვის წიგნის გამოცემა სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მით უმეტეს, რომ წიგნი დამაკმაყოფილებელი ენითაა გადათარგმნილი და ლაზათიანადაც გამოცემული. წიგნის ნაკლს ის წარმოადგენს, რომ ცოტა გაჭიანურებულია: დეტალურად არის აღწერილი და ახსნილი უბრალო მოვლენები და საგნები, რომელთაც ბავშვი ყოველი წიგნების დამოუკიდებლადაც ეცნობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს არ არის საჭირო: ბავშვის აღზრდაში ზოგი რამ მის დაკვირვებას, ცნობისმოყვარეობასა, კვლევაძიების ნიჭ ა და ფანტაზიას უნდა მიენდოს: წინააღმდეგ შემთხვევაში მისი თავი გაიტენება ცოდნით, მაგრამ ის დაჰკარგავს ხალისს დამოუკიდებელ გზით სიარულისას.

რედაქტორი ლევან [illegible]

განცხადებანი

ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამარსებელი
მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაბე ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის და ვადგენ საღამოს ჯგუფს
ოთხი კლასის მოწმობაზე
მოსამზადებლად. ჩაწერა 9—12 საათ. 4—6 ს. პლეხანოვის ქუჩა 25 (შეს.ვალი ალექსის ქუჩ. 5). (4030—3—2)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და სად 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—იანვ

მარიამ
თოფურიძე - პანიევი
იღებს საბებიო და ქალის სნეულებია
ავათმყოფებს ყოველ დღე საღამო
4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10
ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავა
მყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ან
ჭასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—6

ექიმი მ. ა. შაჰრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი
დებები (შეშხაპუნება „606“ და „914“
ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე
განოების სნეულებანი. ავადმყოფების
ღება ყოველ დღე დილის 9—11 და
ღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—6
ქვირიობით მხოლოდ ...
... ქ. № 13. 7 იანვ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულებ
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 14
პროვიზორ „აპოლოს“ მახლობლ
ტელეფ № 5—9 7 დასაწოლ ავათმყ
ფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოვე
დროს სრული პანსიონით. (28—

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლ
მიხეილ ბედევანიშვილი
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8
არის საწოლები. ყორდანოვის ქ.,
ტელეფ. 7—91 (1—იანვ.

ექიმი ა. დ. პეპელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნ
„606“ და „914“) ვენერიული და
სნეულებანი. ავათმყოფების მიღება
ველ დღე დილის 9—11 ს. და
5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ.
116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ.
ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კ ე რ ძ ო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარ
ორგანოების, სიფილისით და კანის სნ
ეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. გ. მძინარიშვილის
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9
ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის
კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტე
10—87. (28

ექიმ
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 9
კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრ
უძლურება ნდისკოპია (საშარ
მილის). ახალი-მებუთოვის ქ. № 5.
სახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზე
(პარალელურად). მიღება დილით 10
ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 15

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყო
დილის 8—12 საათამდე, ვენერი
სიფილისით (წამ. „606“ და „914
ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 სა
საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკო
დასაწყისი, ხემელის ბოლოიდან
ტელეფონი 18—95. (7—იან

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914“
„606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერი
და საშარდო-სასქესო ავათმყოფ
ავათმყ ფების მიღება დღის 12—
და საღამოს 6—8 ს. საპირის ქ. №
სამინისტროთა შენობის ახლო (
კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ

ა. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ
ლება (სიფილისი „606“ და „914“
შხაპუნება). მიღება: დილით 8—9
საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს.
რამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის
რკინის გზის სამმართველოს პირდა
(23—

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხ ო რ ა ვ ა
იღებს კბილით ავადმყოფებს
დღე გარდა კვირა უქმე დღეების
ლის 10—2 საათამდე, საღამოობით
საათამდე. ვერის დაღმართი (ოლ
კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზ
ცისა, ბინ. № 20. (5